საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 85 (2001) | სამშაბათი, 18 ივლისი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი

## ოფიციალური ქრონიკა

**18 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი, საგანგებო დესპანი საქართველოში ელჩი ედუარდ ბრუნერი და მისი თანმხლები პირები.**

შეხვედრისას განიხილეს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების აქტუალური საკითხები. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ აფხაზეთში — საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე, სეპარატისტებმა ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში ჩაბმულმა ძალებმა გამოავლინეს უსუსურობა და დღემდე უძლური აღმოჩნდნენ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების დაცვით წარემართათ სამშვიდობო პროცესი, რამაც გაახანგრძლივა აფხაზეთში ექსტრემისტ-დამნაშავეთა რეჟიმის არსებობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით სახელმწიფოს მეთაურმა საქართველოს მთელი საზოგადოებრიობის სახელით გამოთქვა შეშფოთება. მან დასძინა, რომ პროცესის გაჭიანურებამ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ის, თუ რამდენად ძალუძს საერთაშორისო თანამეგობრობას პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტა.

სახელმწიფოს მეთაურმა გაეროს დელეგაციას გაუზიარა მოსაზრებები სამშვიდობო პროცესის გააქტიურების შესაძლო გზების შესახებ.

დელეგაციის მამუშაო ვიზიტი გრძელდება.

• • •

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალბერტ ჩერნიშოვი.**

რუსეთის ხელმძღვანელობის განწყობა და საზოგადოებრივი აზრი საქართველოს მიმართ ძირეულად იცვლება, აღნიშნა საუბრისას ბატონმა ჩერნიშოვმა. აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ უმთავრესი საკითხია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. მხოლოდ მისი აღდგენის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი ეროვნულ უმცირესობათა და ადამიანის უფლებათა დაცვაზე.

შემდეგ საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის სამომავლო საკითხებს, ხელმოწერილ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რეალიზაციისა და კონფლიქტების მოგვარების დაჩქარებას.

• • •

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საფრანგეთის აკადემიის წევრი, ევროპარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ელენ კარერ დანკოსი.**

სახელმწიფოს მეთაურმა სტუმარს გააცნო ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, აღნიშნა, რომ საქართველოს დიდ დახმარებას უწევენ ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, სავალუტო ფონდი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ უმთავრესი პრობლემა — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა — ჯერ კიდევ მოსაგვარებელია. ამ საკითხის გადაწყვეტა კი რუსეთის აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ახლა რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს ერთიანობით, რადგან კარგად ესმის, რომ აფხაზურმა სეპარატიზმმა სათავე დაუდო სეპარატიზმს რუსეთშიც.

სახელმწიფოს მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის ახალი როლის გათვალისწინებით სეპარატიზმის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება, რაც ხელს შეუწყობს სტაბილიზაციის პროცესს როგორც კავკასიის რეგიონში, ასევე ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში.

ქალბატონმა დანკოსმა მადლობა გადაუხადა სახელმწიფოს მეთაურს მიღებისათვის და გამოთქვა სურვილი უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ევროპარლამენტს შორის.

• • •

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპის საბჭოს დელეგაციის წევრები — კულტურის, განათლების, სპორტის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მეითლენდ სტობარტი, გენერალური მდივნის პირადი ოფისის დირექტორის მოადგილე მარკ შოიერი და პოლიტიკური მრჩეველი ივან კოჟოკოვი.**

საუბარი შეეხო საქართველოს სტატუსს ევროსაბჭოში. დასახული გეგმის მიხედვით, საქართველოს აღნიშნულ ორგანიზაციაში მიენიჭება საპატიო სტუმრის სტატუსი, ხოლო პოლიტიკური დიალოგი დაიწყება სექტემბერში.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს გაწეული სამსახურისათვის და ყოველმხრივი სახელმწიფოებრივი დახმარება აღუთქვა.

• • •

**საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანული ფირმა „მერსედეს-ბენცის“ წარმომადგენლები — ბატონი ლანდრუტი და ქალბატონი ბრუნერი.**

სტუმრებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ საქართველოში მიმდინარეობს საერთაშორისო ფორუმი „კულტურათა დიალოგი“ სოლიდარობისათვის აგრესიულობისა და შეურიგებლობის წინააღმდეგ“, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ფორუმის გამართვას ჩვენს ქვეყანაში, რადგან, მათი აზრით, ეს ღონისძიება უკეთ წარმოაჩენს საქართველოს საერთაშორისო არენაზე.

ფირმა „მერსედეს-ბენცის“ წარმომადგენლებმა სახელმწიფოს მეთაურს გააცნეს თავიანთი სამომავლო გეგმები და აუწყეს, რომ აპირებენ თანამშრომლობას საქართველოს საავტომობილო წარმოებასთან.

შეხვედრას ესწრებოდა გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ნორბერტ ბაასი.

• • •

**რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ალბერტ ჩერნიშოვს.**

საუბარი ძირითადად შეეხო ორ ქვეყანას შორის მაისში დადებულ სავაჭრო-ეკონომიკურ შეთანხმებას. როგორც ბატონმა ჩერნიშოვმა აღნიშნა, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის საქართველოში ვიზიტის საკითხი. ბატონმა ჩერნიშოვმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს კონსტიტუციის მიღებას და იმედი გამოთქვა, რომ წარმოდგენილი პროექტის ძირითად პრინციპებს მოიწონებს და მიიღებს რესპუბლიკის პარლამენტი.

შეხვედრაზე ოთარ ფაცაციამ აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და რუსეთს შორის ათეული წლების განმავლობაში არსებული ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენას და განმტკიცებას, და განაცხადა, რომ ამ თვალსაზრისით ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ შეთანხმებებს უკვე მოაქვს გარკვეული დადებითი შედეგები.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური — საქინფორმი

## გამოიყო 12 მილიონამდე დოლარი გაეროს მეთვალყურეთა მისიის დაფინანსებისათვის

**გასულ** კვირას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა, გამოყოს დაახლოებით 12 მილიონი დოლარი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის საქმიანობის დასაფინანსებლად 1996 წლის 12 იანვრამდე პერიოდისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეს მისია შექმნა უშიშროების საბჭომ 1993 წლის 24 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დაცვის შესამოწმებლად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქ სოხუმში შექმნილ ვითარებას. ამჟამად მისიაში შედის 13 ქვეყნის 136 სამხედრო დამკვირვებელი. ყველაზე მეტი დამკვირვებელი საქართველოში გაგზავნეს გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა — 10-10, აგრეთვე ბანგლადეშმა — 11 კაცი. რუსეთი წარმოდგენილია 3 დამკვირვებლით. მისიას მეთაურობს მთავარი სამხედრო მეთვალყურე, ბრიგადის გენერალი ჯონ ჰეიდეგარდი (დანია).

## ფორუმი

# „და კვლავ ვცოცხლდებით...“

თბილისი, იერუსალიმის მოედანი, შაბათი, 15 ივლისი

**„სოლიდარობისათვის შეურიგებლობის წინააღმდეგ კულტურათა დიალოგი“ საერთაშორისო ფორუმის დასკვნითი აკორდი გახდა საქართველოს დედაქალაქთან მის მონაწილეთა გამოთხოვების საზეიმო ცერემონია.** ათასობით თბილისელი და საქართველოს დედაქალაქის სტუმრები შეიკრიბნენ შაბათ საღამოს, 15 ივლისს ძველი თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში, სადაც აღმართულია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მთელი რიგი ძეგლები, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, გამოირჩევა დარეჯანის სასახლე. სწორედ მის კედლებთან, იერუსალიმის მოედანზე (ამიერიდან ასე ეწოდება რიყეს) გაიმართა ლამაზი სანახაობა.

ზეიმი გახსნა საერთაშორისო ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, თბილისის მერმა ნიკო ლეკიშვილმა.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და იუნესკოს გენერალური დირექტორის სპეციალური მრჩეველი, ელჩი ვლადიმერ ლომეიკო.

თბილისში გამართულმა ფორუმმა, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა მოძრაობას კულტურათა დიალოგისათვის. ეს უნდა გახდეს ადამიანთა აზროვნებაში თავისებური შემობრუნება შეურიგებლობიდან და ორმხრივი დაპირისპირებიდან ურთიერთობისა და ურთიერთგამდიდრებისაკენ ინტელექტუალური და ადამიანური სოლიდარობის გზით. თბილისი შემთხვევით როდი აირჩიეს ასეთი წარმომადგენლობითი შეხვედრის გამართვის ადგილად. ამ ქალაქის მთელი 1500 წლის ისტორია განმსჭვალულია ტოლერანტობის, ეროვნებათშორისი და რელიგიური შემწყნარებლობის, ერთბაშად მრავალი კულტურის, საუკუნეთა განმავლობაში ბრწყინვალე თანაარსებობის სულისკვეთებით. თბილისის შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტმა, რომ მიმდინარე წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა ტოლერანტობის წლად. ორატორებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ჩვენს პლანეტაზე, უბრალოდ, არა აქვს ალტერნატივა დიალოგსა და ყველაზე რთული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრას. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ფორუმში მონაწილეობდნენ ის ადამიანები, რომელთა აზრს მთელი პლანეტა ითვალისწინებს. ამიტომ, ორატორებმა გამოთქვეს რწმენა, რომ თბილისში ნათქვამი მათი სიტყვები მნიშვნელოვან საზოგადოებრივ რეზონანსს პოვებს, ისინი მოახდენენ სერიოზულ ზემოქმედებას საზოგადოების ზნეობრივ კლიმატზე.

ცერემონია დააგვირგვინა ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების გამოსვლამ, რომელსაც გულგრილი არავინ არ დაუტოვებია.

ზეიმი დიდი ფეიერვერკით დასრულდა.

სტუმრები კი დაშლას არ ჩქარობდნენ. ეძნელებოდათ წასვლა. ალბათ, ყველა შეკრებილის აზრი გამოხატა ვლადიმერ ლომეიკომ: „როცა გემშვიდობებით თქვენ, თქვენს შესანიშნავ დედაქალაქს, ჩვენ ყოველთვის ცოტათი ვკვდებით ხოლმე და კვლავ ვცოცხლდებით ახალი შეხვედრებისათვის!“.

• • •

**საინტერესო** და მრავალფეროვანი კულტურული პროგრამის შთამბეჭდავი აკორდი იყო კონცერტი თბილისის მუსიკალურ ცენტრში. სტუმრებმა დაათვალიერეს ხელოვნების მუზეუმი, ქარვასლაში გამოფენილი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, ხალხური რეწვის ნიმუშები. შემდეგ დაესწრნენ რუსთაველის აკადემიური თეატრის სპექტაკლს „კავკასიური ცარცის წრე“.

• • •

**გუშინდელი** ის დიდი ინტერესი, რომლითაც საერთაშორისო ფორუმის მონაწილენი ელოდნენ მუზეუმ ქალაქ მცხეთასთან შეხვედრას. მცხეთა ხომ შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალებს მოლოდინი გაუმართლდათ: ჯვარმა, სვეტიცხოველმა და, საერთოდ, მუზეუმ-ქალაქმა მათზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა.

ფორუმის მონაწილეები აღტაცებას ვერ მალავდნენ, ყველაზე მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი ხალხის ნიჭსა და უნარს, რომელმაც ხუროთმოძღვრების არაჩვეულებრივი ძეგლები შემოუნახა თანამედროვეებს.

სტუმრები ეწვივნენ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს, დაათვალიერეს დიდი ქართველი მამულიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები, პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

საქინფორმი.

## აფხაზეთი- ჩვენი ტკივილი!

### შეხვედრა ედუარდ ბრუნერთან

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომათა დარბაზში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელი ედუარდ ბრუნერი შეხვდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლებს, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს,

შეხვედრაზე გამოვიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, რომელმაც დადებითი შეფასება მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო როლს, და აღნიშნა, რომ მისი ძალისხმევა აფხაზეთში ნაკლებად ეფექტიანია, რჩება მხოლოდ ქაღალდზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, ევროპაში თანამშრომლობისა და უშიშროების ორგანიზაციის მრავალი რეზოლუციით არაერთგზის დადასტურებულა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და აფხაზეთი გაიხილება როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ამავე დროს კი, აფხაზეთის პრობლემა შორს დგას პრაქტიკული მოგვარებისგან. დღემდე ლტოლვილებისათვის არ მიუციათ მშობლიურ ადგილებში მათი მახოპრივი და ღირსეული დაბრუნების გარანტიები, უფრო მეტიც, მიუშვეს რა თვითდინებაზე უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა განიარაღების საკითხი, სამშვიდობო ძალები აფხაზთა ბანდიტურ ჯგუფებს სადამსჯელო ოპერაციათა განხორციელების, ქართული მოსახლეობის გენოციდის გაგრძელების საშუალებას აძლევენ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ერქვანია, თავმჯდომარის მოადგილე ლ. მარშანია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ე. ასტამიროვა, საქართველოს პარლამენტის წევრი, გალის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ყოლბაია, აფხაზეთის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი შ. წულეისკირი, ქალაქ გაგრის მერი დ. ეჯუბაია და სხვები.

ე. ბრუნერმა უპასუხა დამსწრეთა მრავალ კითხვას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესსამსახური.

# „რაც უფრო მეტია საქართველოს აღიარება საერთაშორისო მასშტაბით, მით უფრო მოკლდება გზა კეთილდღეობისა და დემოკრატიისაკენ, ქვეყნის გამთლიანებისაკენ“

**საქართველოს** პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავისი ტრადიციული რადიოინტერვიუ, რომელსაც ჟურნალისტი **ნატო ონიანი** უძღვებოდა, გასული კვირის ეკონომიკური მიმოხილვით დაიწყო.

— განვლილი კვირის სამეურნეო შედეგები მოწმობს, რომ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე დადებითი ძვრების, საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციების მხადრაჭერის, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრების, კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესების შედეგად რესპუბლიკაში თანდათან ძლიერდება ეკონომიკის სტაბილიზაციის, საფინანსო და საგადასახადო დისციპლინის განმტკიცების, ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის უკვე გამოკვეთილი პოზიტიური ტენდენცია. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მონაცემებით, 1995 წლის პირველი ნახევრის შედეგებით რესპუბლიკაში საბიუჯეტო საერთო შემოსავალმა 77 ტრილიონ კუპონს გადააჭარბა, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ პროგნოზირებულ მაჩვენებელს თითქმის 2,6 ტრილიონი კუპონით, ანუ 8 პროცენტით აღემატება. პრაქტიკულად ეს არის საკონტროლო მონაცემი იმისათვის, რომ სავალუტო ფონდმა თანამშრომლობა გააგრძელოს.

ბიუჯეტის საერთო შემოსავალმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 1995 წლის მთლიან შემოსავალს 18,5 ტრილიონი კუპონით გადააჭარბა. საანგარიშო პერიოდში მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლიდან რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალმა 45 ტრილიონი კუპონი შეადგინა. გეგმის გადაჭარბებით მიღებულია 800 მილიარდი, შესრულება 102-პროცენტიანია. ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხა 32 ტრილიონი კუპონი, გათვალისწინებული 30 ტრილიონის ნაცვლად.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, ბიუჯეტის საერთო შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულება უზრუნველყოფილია თითქმის ყველა სახეობის საგადასახადო შემოსავლის მიხედვით. ბიუჯეტში გადაჭარბებით ჩაირიცხა დამატებითი ღირებულების გადასახადი ტრილიონ 600 მილიარდი კუპონი, ანუ 109 პროცენტი, აქციზის გადასახადი — 442 მილიარდი კუპონი, ანუ 153 პროცენტი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი — ტრილიონ 60 მილიარდი კუპონი, ანუ 117 პროცენტი, მოსაკრებლები და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები — ტრილიონ 50 მილიარდი, ან 141 პროცენტი.

1995 წლის 6 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლის გეგმა (საბაჟოს გარეშე) 102 პროცენტით შესრულდა. გადაჭარბებამ 500 მილიარდი კუპონი შეადგინა. თუ ხუთ თვეში ბიუჯეტის საგადასახადო დავალებებს 11 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულიდან 8 ვერ ასრულებდა, 6 თვის შედეგებით ასეთთა რიცხვი სამ ერთეულამდე შემცირდა. მთლიანად დაფარეს ხუთ თვეში დაშვებული დარღვევები თბილისმა — შესრულება 100 პროცენტზე მეტია, იმერეთის რეგიონმა — 118 პროცენტი, სამეგრელოს რეგიონმა — 116 პროცენტი, კახეთისამ — 139 პროცენტი, გურიისამ — 121 პროცენტი, რაჭა-ლეჩხუმისა — 206 პროცენტი. მინდა ყველა ამ რეგიონსა და მათში შემავალ რაიონებს მადლობა ვუთხრა დიდი სამუშაოს შესრულებისათვის.

ნაწილობრივ გამოსწორდა ჩამორჩენა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ბიუჯეტის შემოსავალი გაცილებით მეტი იქნებოდა, ქვეყნის საერთო ეკონომიკური პოტენციალის სრულად ამოქმედებისათვის რომ მიგვეღწია. ბიუჯეტის შემოსავლის ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს ის გარემოება, რომ ბევრი რეგისტრირებული საწარმო არ მუშაობს. 1995 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 74 ათასი საწარმო, აქედან 86 ათასი მუშაობს. ყველა რომ მუშაობდეს, პროდუქციას ქმნიდეს, მაშინ შემოსავალი გაორკეცდებოდა და გასამკეცდებოდა. ამიტომ, ჩვენი ერთერთი უმთავრესი საზრუნავი ის არის, რომ ყველა საწარმოს — კერძოსაც და სახელმწიფოებრივსაც — მიეცეს მუშაობის საშუალება. ამის შესახებ ვილაპარაკებთ თათბირზე, რომელიც ამ თვის ბოლოს გაიმართება.

1995 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით, ფინანსური სანქციებისა და საურავების სახით ბიუჯეტში დამატებით ჩაირიცხა 7 ტრილიონი კუპონი, რაც ბიუჯეტის საერთო შემოსავლის თითქმის 10 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როცა გასულ წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ სამნახევარ პროცენტს შეადგენდა. ერთი მხრივ — ეს კარგია, მოწმობს საგადასახადო სამსახურის გააქტიურებას, მაგრამ, ამავე დროს, აშკარაა რომ ჯერ კიდევ დაბალია საგადასახადო დისციპლინა.

რესპუბლიკის ცალკეული რაიონები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ბიუჯეტში შემოსავლების გეგმა-დავალებების შესრულებას. დიდი გარღვევებია დაშვებული ქალაქ ფოთში (იქ საგანგებო ზომებს იღებენ — ქალაქის ახალი მერი ბატონი ნუგზარ ნადარაია გვპირდება, რომ ერთ თვეში — თვენახევარში გარდატეხას მიაღწევენ), ახალციხეში (74 პროცენტის დონეზე), ჩხოროწყუში ამბროლაურში (?) მეტაში, ნინოწმინდასა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

განვლილ კვირაში თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟის ბრუნვამ 2 მილიონ დოლარს გადააჭარბა — ეს საკმაოდ მაღალი მონაცემია. კუპონის კურსი უცვლელია: 1 დოლარი — 1,800 ათასი კუპონი. ასევე მყარია რუბლთან შეფარდება: 1 რუბლი — 244 კუპონი.

1995 წლის 12 ივლისისათვის რესპუბლიკაში მოკრეფილი იყო 48 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. აღნიშნული მაჩვენებელი ჩამორჩება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის დონეს. ვფიქრობ, ადგილობრივი და რესპუბლიკური ხელმძღვანელები ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ და იგი სერიოზულ ჩარევას მოითხოვს.

ამ დღეებში გარკვეულად შეფერხდა ანოტიანი სახურავების შეტანა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. 25 ათასი ტონიდან სულ 6 ათასი ტონა შეიტანეს. ამასთან დაკავშირებით მივმართავ რუსთავის ხელმძღვანელობას, რუსთავის ქიმკომბინატს, რომ გარდაქმნან მუშაობა, რადგანაც, სახორბლე-საშემოდგომო კულტურების მოსავლიანობა, მოსავლის მოყვანა უსახურად შეუძლებელია.

მიმდინარეობს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის კვებისა და გადამამუშა-

ედუარდ შევარდნაძის 17 ივლისის რადიოინტერვიუ

ვებელი საწარმოების პრივატიზაცია, სისტემაში შემავალი 240 საწარმოდან პრივატიზებულია 212. სააქციო საზოგადოებად გარდაქმნილია 170, კონკურსისა ან აუქციონის წესით პრივატიზებულია 11, იჯარის წესით გამოსყიდულია 25, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი ძალიან აქტიურად მიმდინარეობს.

ქვეყანაში თანდათან ძლიერდება მასობრივი პრივატიზაცია, მრეწველობაში მიქვს ვაუჩერიზაციის პროცესი. 10 ივლისს დამთავრდა პირველი სპეციალიზებული საბარათო აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იყო 25 სააქციო საზოგადოების აქციები. მათი საერთო ღირებულება 4 მილიონ დოლარზე მეტი იყო, ხოლო აქციათა რაოდენობა 2 მილიონ 900 ათას ცალს აჭარბებდა.

11 ივლისს დაიწყო მეორე სპეციალიზებული საბარათო აუქციონი, რომელზეც გამოტანილია 55 სააქციო საზოგადოების აქციები. აქციათა საერთო ღირებულება 9 მილიონ დოლარს აღემატება, რაოდენობა ერთეულების მიხედვით — 6 მილიონზე მეტია. საბოლოო შედეგი მეორე აუქციონის შემდეგ უნდა შევაჯამოთ და, ვფიქრობ, საინტერესო დასკვნებია მოსალოდნელი.

ძალიან დიდი მუშაობა მიმდინარეობს ენერგეტიკის სფეროში ავარიის შედეგების სალიკვიდაციოდ, სოლიდური სამუშაო შესრულდა უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობის მოწესრიგების თვალსაზრისით. დეტალური ინფორმაცია შემდეგ გამოსვლებში იქნება.

— გასული კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომლითაც ცხოვრობდა რესპუბლიკა და, განსაკუთრებით, დედაქალაქი — ინტელექტუალთა საერთაშორისო ფორუმი იყო. ფორუმის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა პარლამენტებისა და მთავრობებისადმი, არასამთავრობო, რელიგიური ორგანიზაციებისადმი, სადაც შემწყნარებლობისაკენ და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოუწოდებს. აღსანიშნავია, რომ ფორუმი ინტელექტუალთა ერთგვარი საპროტესტო აქცია, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური აქციაც იყო. თუმცა გარკვეულ გამოსვლებში იყო მცდელობა პოლიტიკისაგან გამოცალკევებისა. გასათვალისწინებელია აგრეთვე კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ფორუმთან დაკავშირებით საქართველოს ეწვია იუნესკოს გენერალური დირექტორი ფედერიკო მაიორი. გაფორმდა საქართველოსა და იუნესკოს თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც, ალბათ, განვითარების კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს ქართულ კულტურას, განათლების დარგს და იმავე ენერგეტიკას...

— მე მოკლე კომენტარით შემოვიფარგლები, რადგან სხვადასხვა დროს გამოვთქვი ჩემი აზრი ფორუმთან დაკავშირებით. თავისთავად მნიშვნელოვანია ფორუმზე განხილული პრობლემა, რომელსაც საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს — ეს არის კულტურათა დიალოგი შეუწყნარებლობის, შეურიგებლობისა და სისასტიკის დასაძლევად. საქართველოს ინიციატივა ამ მხრივ მსოფლიო თანამეგობრობაში მისთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრების სერიოზული განაცხადია.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალური ელიტის შეკრება თბილისში — საქართველოს კულტურის, მისი მეცნიერებისა და საერთოდ ცივილიზაციის განვითარებაში ჩვენი ქვეყნის წვლილის აღიარებაც არის.

მნიშვნელოვანი დოკუმენტები მივიღეთ. ეს არის ზოგადი განცხადება, ზოგადი მოწოდება პარლამენტებისა და ხელისუფლების სხვადასხვა დონეების, მათ შორის პირველი პირების მიმართ და ეგრეთ წოდებული სამუშაო პროგრამა იმ იდეების სარეალიზაციოდ, რომლებიც აქ გამოითქვა.

მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ატმოსფერო, რომელიც აქ წარმოდგენილ მოღვაწეთა შორის ჩამოყალიბდა, ეს მართლაც საოცრება იყო. ეს იყო უნიკალური შეხვედრები, გულითადობა, გულწრფელობა. თანამოაზრეობა და მართლაც ღირსეულთა დიალოგები. მხედველობაში მხოლოდ ოფიციალურ პლენარულ სხდომებზე გამოსვლები არა მაქვს, დიალოგი მთელ ღამესაც გრძელდებოდა ოჯახებში, და, როგორც ვიცი, არანაკლებ საინტერესოდ. ამ დიალოგის მონაწილენი გახლდნენ არა მარტო დღევანდელი საქართველოს ინტელექტუალები, არამედ, ხატოვნად რომ ვიტყვით, შოთა რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, ჩვენი თანამედროვენი — მერაბ მამარდაშვილი, თინგიზ აბულაძე და იქ წარმოდგენილი ქვეყნების კლასიკოსები და დიდი მოღვაწენი. ამ დიალოგის მონაწილენი იყვნენ ჩვენი ნახევრად მოშიმშილე მოქალაქენი, რომელთაც ესმით, რომ, რაც უფრო მეტია საქართველოს აღიარება საერთაშორისო მასშტაბით, მით უფრო მოკლდება გზა კეთილდღეობისა და დემოკრატიისაკენ, ქვეყნის გამთლიანებისაკენ.

ფორუმზე გაისმა გაფრთხილებაც — თავი არ დავიმშვიდოთ, სეპარატიზმი და ექსტრემიზმი უაღრესად საშიში მოვლენებია. ამ მხრივაც საქართველოს გამოცდილება საინტერესოა, მწარე გაკვეთილია ბევრი ქვეყნისათვის.

ფორუმი დამოუკიდებელ ქვეყანაში გამართული საერთაშორისო მასშტაბის აქცია გახლავთ და იგი იუნესკოსთან, ამ უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციასთან ასეთ გლობალურ საკითხში თანამშრომლობის პირველი მაგალითია. ჩვენი დელეგატების მოხსენებების, მათი სატელევიზიო გამოსვლების, გამოქვეყნებული სტატიებისა და საერთოდ, დიალოგში მონაწილეობის მიღებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ აზროვნების დონით, თანამედროვე პრობლემათა ღრმა გაგებით საერთაშორისო სტანდარტების სიმაღლეზე ვიმყოფებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფედერიკო მაიორის, აწ უკვე საქართველოს საპატიო მოქალაქის, დიდი ღვაწლი ფორუმის გამართვაში. მან გამოიჩინა განსაკუთრებული მხარდაჭერა, განსაკუთრებული სითბო და განსაკუთრებული გულისხმიერება. მარტო ფინანსები არა მაქვს მხედველობაში, თუმცა ფინანსური დახმარების გარეშე ფორუმი არ გაიმართებოდა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ვლადიმერ ლომეიკოს წვლილიც, რომელიც დიდ სამუშაოს ასრულებდა და რისთვისაც მხოლოდ მადლიერების სიტყვებით მივმართავ მას.

ფასდაუდებელია თბილისელების, ქალაქის მერიის, კერძოდ ბატონ ნიკო ლეკიშვილის, მისი ყველა კოლეგის — რაიონის გამგებლებისა და სხვების წვლილი. ბოლო ღონისძიების — თბილისთან გამოთხოვებისას მე შევჩერდი და მოქალაქეთა საკმაოდ დიდ ჯგუფს ვკითხე: ადამიანებს დღეს ბევრი რამ აკლიათ და ხომ არ გაღიზიანებთ მათ ყოველივე ეს? სხვათა შორის, ძირითადად მანდილოსნები იყვნენ და მითხრეს: ჩვენ მადლობელი ვართ, რომ დედაქალაქი, საქართველო გამოაცოცხლდა, უფრო ფართო თვალსაწიერით შევხედეთ ამ ცხოვრებას და იმედიც ბევრი გაგვიჩნდაო. გულწრფელი ნათქვამი იყო.

ძალიან დიდია ეგრეთ წოდებული შევარდნაძის ფონდის, მთელი კოლექტივის დამსახურება, რომელმაც ჩვენი მეგობრის სოლიკო ხაბეიშვილის ხელმძღვანელობით დაწყებული უზარმაზარი სამუშაო შეასრულა. მათ ღირსეულად გააგრძელეს ეს საქმე. ბევრი რამ გააკეთეს მცხეთელებმა, ქუთაისმა, საიდანაც ფედერიკო მაიორი წარუშლელი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა, მინისტრთა კაბინეტმა და სხვებმა. ყველას მადლობის სიტყვებით მივმართავ.

ახლა ორიოდე სიტყვა ჩვენს თანამემამულეებზე, რომლებიც უცხოეთში დროებით არიან წასული, აქ ჩამოვიდნენ და მხარი დაგვიმშვენეს. უპირველესად, დავასახელებ ოთარ იოსელიანს — მართლაც მსოფლიო მასშტაბის დიდ შემოქმედს, გია ყანჩელს, რომელიც გერმანიაში ძალიან ნაყოფიერად მუშაობს, იგი დიდი შემოქმედია და, ვფიქრობ, მსოფლიო იტყვის თავის სიტყვას გია ყანჩელზე, უაღრესად გულწრფელი მადლობის სიტყვებით მივმართო ზურაბ სოტკილავას, მაყვალა ქასრაშვილს, თამრიკო გვერდწითელს, ლიანა ისაკაძეს და სხვებს (იქნებ, ყველა ვერ ჩამოვთვალო, ნურავინ მიწყენს). ნაწყენი ვართ იმათზე, ვინც ვერ მოიცალა. სამშობლოსთან მიმართებაში სიტყვა „ვერ მოვიცალე“ არ უნდა არსებობდეს. თუ მოგიწვია შენმა ქვეყანამ ასეთ დიდ საერთაშორისო ფორუმზე, ყოველგვარი საქმე უნდა გადადო, როგორი სირთულეც უნდა იყოს, უნდა გადალახო და მხნევრალი გაიღო.

— სხვათა შორის, ამის ყველაზე დიდი მაგალითი თავის დროზე ნინო ანანიაშვილმა გვიჩვენა. მაშინ, როცა თბილისში ჯერ კიდევ ისროდნენ, თავისი მეგობრები ჩამოიყვანა და ფანტასტიკური კონცერტი გამართა.

(დასასრული მე-2 გვ.)

## საქართველოს პარლამენტში

### კონსულტაციები გრძელდება

**პარლამენტის** თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით გრძელდება კონსულტაციები საქართველოს კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით. 17 ივლისს შემთანხმებელმა კომისიამ მესამე თავის — „საქართველოს პარლამენტის“ განხილვა დაიწყო.

### „უმრავლესობა“ კომპრომისების მომხრეა

— ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფრაქციათა კოალიცია „უმრავლესობის“ წევრები, რომლებიც 17 ივლისს შეიკრიბნენ პარლამენტის სხდომათა დარბაზში. პარლამენტარმა როსტომ დოლიძემ კოლეგებს გააცნო ინფორმაცია კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით შემთანხმებელი კომისიის მუშაობის შესახებ. როგორც მან განაცხადა, ბევრ საკითხზე მოხდა პოზიციების შეჯერება, ზოგიერთზე კამათი გრძელდება. აზრთა სხვადასხვაობა „უმრავლესობის“ წევრებს შორისაც არის. ეს განსაკუთრებით ეხება სამხარეო მოწყობას და არჩევნების გამართვის პრინციპებს, აღნიშნა პარლამენტარმა ომარ ელოშვილმა და კოლეგებს შესთავაზა შემთანხმებელი კომისიის მუშაობის პარალელურად „უმრავლესობაც“ შეიკრიბოს, რათა კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია შეიმუშაონ. პარლამენტარ გიგა ლორთქიფანიძის აზრით, საჭიროა კონსტიტუციის პროექტი „გავათავისუფლოთ“ ზოგიერთი სადავო საკითხისაგან, როგორიცაა, მაგალითად, არჩევნების გამართვის პრინციპი. მაშინ შეთანხმება მოხერხდება ურთიერთკომპრომისის გზით, თქვა მან. პარლამენტარ ლია ქინდელიანს კი მიაჩნია, რომ საჭიროა სენატის უფლებების გაფართოება.

სენატის ერთგვარმა უსახურობამ, როგორადაც იგი კონსტიტუციის პროექტშია განსაზღვრული, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ყურადღებაც მიიპყრო. მან განაცხადა, რომ მომხრეა სენატის როლის გაზრდისა, და საერთოდ, ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებისა. სახელმწიფოს მეთაურის აზრით კიდევ გამოინახება გზები, რომლებიც დარჩენილ უმოკლეს ვადაში გონივრული კომპრომისის შედეგად საქართველოსათვის საჭირო კონსტიტუციას და სამაგალითო პარლამენტს მიგვაღებინებს.

„უმრავლესობას“ მიმართა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ბაკურ გულუამ. მისი თხოვნაა, პარლამენტმა საგანგებო სესიაზე განიხილოს საკითხი რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მიწათსარგებლობის გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ.

ნინო თათრულაძე.

# საქართველოს რესპუბლიკის კ ა ნ ო ნ ი

## საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ. № 12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 116-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან რომლებსაც არ გაუვლიათ სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება“; ამავე ნაწილის სანქციაში სიტყვები „ერთი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე“;

მეორე ნაწილის სანქციაში სიტყვები „ნახევარი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე“;

მუხლის სანქციებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „გაფრთხილება ან“;

მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილი:

„შესაბამისი ნებართვის გარეშე გადაკეთებული სატრანსპორტო საშუალების განმეორებით მართვა დაჯარიმებიდან ერთი წლის განმავლობაში;

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე“.

2. 117-ე მუხლის სანქციაში სიტყვები „ორი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“.

3. $117^{1}$ მუხლის სანქციაში სიტყვები „ხუთი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

4. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $117^{2}$ მუხლი.

**„მუხლი $117^{2}$ მძღოლების მიერ ისეთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა, რომელთაც არ გაუვლიათ სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება.**

მძღოლების მიერ ისეთ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა, რომელთაც არ გაუვლიათ სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება,—

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“.

5. 118-ე მუხლის სანქციაში სიტყვები „ორი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

6. 119-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების სანქციებში სიტყვები „ათი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ათიდან ოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე“.

7. 120-ე მუხლის სათაურს დაემატოს სიტყვები „სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე“, სანათი და ხმოვანი ხელსაწყოების არადანიშნულებით გამოყენება“.

ამ მუხლის პირველი და მესამე ნაწილების სანქციებში სიტყვები „ხუთი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“.

მეორე და მეოთხე ნაწილების სანქციებში სიტყვები „ათი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ათიდან თხუთმეტ მინიმალურ ოდენობამდე“.

მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეხუთე და მეექვსე ნაწილები:

„სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე, სანათი და ხმოვანი ხელსაწყოების არადანიშნულებით გამოყენება ან იმ სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებათა შეუფერხებლად გატარების წესების დარღვევა, რომლებიც აღნიშნული ხელსაწყოებით სარგებლობენ დადგენილი წესით, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე, ხელსაწყოების ჩამორთმევით.

ამ მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, —

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, ხელსაწყოების ჩამორთმევით“.

8. 121-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციაში სიტყვები „სამიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

მეორე ნაწილის სანქციაში სიტყვები „ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე“.

მესამე ნაწილის სანქციაში სიტყვები „ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე“.

მეოთხე ნაწილის სანქციაში სიტყვები „ოთხიდან რვა მინიმალურ ოდენობამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ოციდან ორმოც მინიმალურ ოდენობამდე“.

მეხუთე ნაწილის სანქციაში სიტყვები „ერთ მინიმალურ ოდენობამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ერთი მინიმალური ოდენობით“.

9. 122-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაში სიტყვები „სანომრე ნიშნების გარეშე“ შეიცვალოს სიტყვებით „სანომრე ნიშნის გარეშე“.

ამავე ნაწილის სანქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე ან სატრანსპორტო საშუალების სასყიდლით ჩამორთმევას“.

მეორე ნაწილის სანქციაში სიტყვები „ათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე“.

ამ მუხლის შენიშვნაში სიტყვები „ორი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ერთი მინიმალური ოდენობით“.

10. 123-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციაში სიტყვები „ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ათიდან ოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე“.

11. 125-ე მუხლის სანქციაში სიტყვები „ერთი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

12. 126-ე მუხლის სანქციაში სიტყვები „ათი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე“.

13. 133-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციაში სიტყვები „ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე“.

მეორე ნაწილის სანქციაში სიტყვები „ერთ მინიმალურ ოდენობამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „სამიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე“.

14. 136-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციაში სიტყვები „ათი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ათიდან ოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე“.

მეორე ნაწილის სანქციაში სიტყვები „ოცი მინიმალური ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „ოციდან ორმოც მინიმალურ ოდენობამდე“.

15. 208-ე მუხლს სიტყვების „103-$105^{1}$ მუხლების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „120-ე მუხლის მეხუთე და მეექვსე ნაწილები“.

II. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

III. გაუქმდეს ყველა კანონქვემდებარე აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
**ედუარდ შევარდნაძე,**
საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1995 წლის 29 ივნისი.

ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელების ნუსხას საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის.

# „რაც უფრო მეტია საქართველოს აღიარება საერთაშორისო მასშტაბით, მით უფრო მოკლდება გზა კეთილდღეობისა და დემოკრატიისაკენ, ქვეყნის გამთლიანებისაკენ“

(დასასრული)

[illegible]

# გაიმართა მორიგი სავალუტო ვაჭრობა

17 ივლისს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გაიმართა მორიგი საჯარო ვაჭრობა. რუბლი, როგორც წინა სამ საჯარო ვაჭრობაზე, ამჯერადაც არ გამოუტანიათ და, ბუნებრივია, მისი კურსი კვლავ არ შეცვლილა — 244 კუპონი. რაც შეეხება ამერიკულ დოლარს, რომელზეც მოთხოვნა შეესაბამებოდა მიწოდებას, გაყიდვის მოცულობამ შეადგინა 508.910 დოლარი. დოლარის კურსი ამჯერადაც არ შეცვლილა და დარჩა 1.800 ათასი კუპონის დონეზე. უცვლელი დარჩა აგრეთვე სხვა უცხოურ ვალუტათა კურსი კუპონის მიმართ.

# განცხადება

1995 წლის 19 ივლისს, დილის 11 საათზე მოწვეულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი სხდომა, რომელიც გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მცირე დარბაზში.

სხდომაზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრების გარდა მოწვეულნი არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წევრები, სამინისტროების, კომიტეტების, უწყებების ხელმძღვანელები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეურნეო და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

# პარტიებსა და მოძრაობებში

## „მხედრიონი“ ახალ ამპლუაში

„მხედრიონის“ 16 ივლისს გამართულ შეკრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, „მხედრიონის“ ბაზაზე შეიქმნა პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბატონი ჯაბა იოსელიანი. ამ დღეებში საინიციატივო ჯგუფი რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სარეგისტრაციოდ წარუდგენს ახლად შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციის წესდებასა და პლატფორმას. რაც შეეხება ბლოკ „არჩევნებს“, რომელსაც, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, ახევე ბატონი ჯაბა იოსელიანი ლიდერობდა, უხელმძღვანელებს ლევან გიორგაძე.

საქინფორმი

## დაფუძნდა აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია

**გაიმართა** საქართველოს სოციალისტური პარტიის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, რომელმაც იმსჯელა აფხაზეთის პრობლემებზე, მათ შორის ლტოლვილთა სოციალური დაცვის საკითხებზე და კონკრეტული მოქმედების პროგრამაც დასახა.

განიხილეს ორგანიზაციული საკითხებიც: გადაწყდა, რომ პარტიის აფხაზეთის კომიტეტმა აფხაზეთში დაბრუნებამდე იფუნქციონიროს თბილისში, სოციალისტური პარტიის შტაბ-ბინაში (ლესელიძის, 41).

საქართველოს სოციალისტური პარტიის აფხაზეთის კომიტეტის თავმჯდომარედ კრებამ ერთხმად აირჩია სოხუმის უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი შოთა მისაბიშვილი.

საზღვრისპირა რაიონში

# მარნეულში გამოიდარა

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღება, დამნაშავეობასთან დაუნდობელი ბრძოლა, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა, მოსახლეობის სოციალური დაცვა — მხოლოდ ნაწილია იმ პროცესებისა, რომლებმაც ბოლო დროს რაიონში შეუქცევადი ხასიათი მიიღო.**

[illegible]

კოლეგები

# „მადლის“ ასი ნომერი

**ხუთი წლის წინათ, ჩვენი უფალი და მაცხოვარი იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს, პირველი ნომერი გამოვიდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაზეთისა „მადლი“. გაზეთს სპეციფიკური ხასიათი აქვს, მის ძირითად დანიშნულებას მკითხველისათვის ქრისტიანული რელიგიის შესახებ ცოდნის მიცემა და ქართული ეკლესიის ცხოვრების გაცნობა წარმოადგენს. ამ რამდენიმე დღის წინათ გაზეთის მეასე ნომერი დაიბეჭდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით „მადლის“ დაარსების ისტორიასა და მიზანდასახულობაზე გვესაუბრება მისი რედაქტორი მზანცა კოპლატაძე.**

საეკლესიო გაზეთის დაარსება, ისევე როგორც ბევრი სხვა ეკლესიური ცხოვრების აღორძინებისათვის აუცილებელი სიახლე, რომლებიც ამ ბოლო წლებში იყო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II სახელს უკავშირდება. სახელწოდება „მადლი“ გაზეთს თავად მისმა უწმიდესობამ შეურჩია. კათოლიკოს-პატრიარქის სურვილი იყო საღვთო სიტყვა ამ გაზეთის ფურცლებიდან, მსგავსად უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი ღვთაებრივი მადლისა, სრულიად საქართველოს მოეფინოდა და ქართველი კაცის დაწყლულებულ სულს მალამოსავით დადებოდა.

მკითხველს ალბათ შემჩნეული ექნება, რომ სხვა გაზეთებისაგან განსხვავებით „მადლს“ მუდმივი დევიზი არა აქვს. დევიზები, რომლებიც ახალი აღთქმიდან ამოღებულ მუხლებს წარმოადგენს, ყველა ნომერში იცვლება. ესეც მისი უწმიდესობის ნება-სურვილით ხდება. პირველ ნომერს დევიზი თავადვე შეურჩია — ღმერთი სიყვარული არს. იოანე მახარობლის ამ გამონათქვამით, რომელიც ქრისტიანული რელიგიის არსებით მხარეს ასე ლაკონურად გადმოგვცემს, უწმიდესმა და უნეტარესმა გაზეთის მიმართულება თითქოს ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა. „მადლმა“ მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, ის სიყვარული უნდა აგრძნობინოს, რომლითაც მაცხოვარს თავისი ყველაზე გზააბნეული ცხოვარიც კი უყვარს. ამიტომ კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით „მადლი“ პრინციპულად არავის ეკამათება, იგი ცდილობს სარწმუნოებრივ საკითხებზე ქრისტიანობის მტერთა საპირისპიროდ სწორი სწავლებანი მიაწოდოს ხალხს და ამით სიმართლეში გარკვევა გაუადვილოს.

სათაური და დევიზი ერთმანეთსა და გაზეთის შინაარსს ისე მოუხდა, რომ უწმიდესის კურთხევით დარღვევაც კი გავბედეთ და მეორე ნომერსაც დევიზად იგივე მუხლი წარვუმძღვარეთ. მის უწმიდესობას, რა თქმა უნდა, ეს ფაქტი მხედველობიდან არ გამორჩენია და მსუბუქად გამოთქმული საყვედურიც სამართლიანად დავიმსახურეთ: თუ ქჳვენ არ შეგიძლიათ, დევიზებისათვის მუხლებს ახალი აღთქმიდან მე თვითონ ამოგიწერთო. ეს იყო და ეს, „მადლში“ დევიზი აღარ განმეორებულა. მიუხედავად ამისა, კათოლიკოს-პატრიარქის ჩანაფიქრის მნიშვნელობას შედარებით გვიან მივხვდით: დევიზების ცვლა მკითხველისათვის ახალი აღთქმის ყველაზე სხარტი და ბრძნული გამონათქვამების გაცნობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

კათოლიკოს-პატრიარქის მითითებით შეიქმნა აგრეთვე გაზეთის ტიტულიც — ქვის კედელზე ასომთავრულით ამოკვეთილი „მადლი“ და, როგორც თავად მის უწმიდესობას ზშირად აღუნიშნავს, ნიშნად ღვთაებრივი მადლის სიმტკიცისა და უძლეველობისა, აღორძინების სიმბოლო — ფეხიანი ჯვარი და მტრედი — სიმბოლო სული წმიდისაგან მინიჭებული მშვიდობისა.

„მადლის“ დამსახურება, უპირველეს ყოვლისა, მასში გამოქვეყნებული ტექსტებისა თუ წერილების შემეცნებით ღირებულებაში მდგომარეობს.

გაზეთი, როგორც ამაზე თვითონ მისი უწმიდესობის მიერ შერჩეული რუბრიკები — ძველი და ახალი აღთქმის კომენტარები, ღვთისმეტყველება, რელიგია და მეცნიერება, საკითხავი ყრმათათვის — მიუთითებენ, გვერდით უნდა ამოსდგომოდა სხვა საეკლესიო გამოცემებს, რომელთაც ამ რამდენიმე წლის წინათ ასევე უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ღვაწლით იწყეს გამოსვლა (საეკლესიო კალენდრები, სღვთისმეტყველო კრებულები, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“) და ქართველი კაცის სულში გაეღვიძებინა დრო-ჟამისაგან მივიწყებული სიყვარული ქრისტიანობისა, ცოდნა საკუთარი რელიგიისა ანუ საკუთარი საფუძვლისა, რომელზეც ჩვენი ერის მთელი



სულიერი კულტურაა აგებული. ეს ურთულესი საქმე იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ საუკუნეების მანძილზე ქვეყანაში მაჰმადიანების თარეშმა და ბატონობამ, შემდეგ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ და ბოლოს „ათეიზმის რელიგიასთან აქტიური ბრძოლის 70-წლიანმა პერიოდმა ან სრულიად წაშალა ან კიდევ საგულდაგულოდ მიგვავიწყა, რას სცემდნენ ჩვენი წინაპრები თაყვანს და როგორ. ჩვენი მდგომარეობის ამგვარი შეფასება შეიძლება ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს და თქვას, როგორ არ გვახსოვდა და გვახსოვს, ქრისტიანები რომ ვართო, მაგრამ გავიხსენოთ ჩვენი მოწყალე დამოკიდებულება რელიგიის მიმართ და ჩვენი შეხედულება მორწმუნეებზე, როგორც გონებრივად ჩამორჩენილებსა და უვიცებზე. განა ამგვარი განწყობილების გამოძახილი დღესაც არ იგრძნობა?

გაზეთის მიმართულება მნიშვნელოვანწილად ამ მოვლენამაც განაპირობა. რწმენისადმი მეცნიერების იმპარტავნული დამოკიდებულების განსაქარვებლად „მადლმა“ მიზნად ქრისტიანული რელიგიის შემეცნებითი ხასიათის წარმოჩენა დაისახა, რაც რწმენასთან ერთად აუცილებლად გულისხმობს საფუძვლიან ცოდნასაც და თანაც ისე, რომ არ დავიწყებოდა ჩვენი ერის მდგომარეობა, რომელიც ზემოდასახელებული მიზეზების გამო რწმენის თვალსაზრისით ჩვილის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის გამოც მისთვის ისეთი საზრდელის მიწოდება გახდა საჭირო, რომლის მიღებასაც იგი ადვილად შეძლებდა.

„მადლის“ ერთგული მკითხველები ალბათ დაგვეთანხმებიან, რომ ამ ურთულეს ამოცანას გაზეთმა თავი წარმატებით გაართვა. მასში საღვთისმეტყველო ხასიათის თხზულებებისა და წერილების გვერდით ისეთი მასალებიც იბეჭდება, რომელიც ქრისტიანობის ანბანს წარმოადგენს. ამასთან სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ გაზეთს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ჩვენს ეკლესიაში ამ ხუთი წლის მანძილზე ჰქონდა ადგილი და დღეს უკვე მისი ისტორიაა.

ღვთის უდიდეს წყალობად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ გაზეთის არსებობის არც თუ ისე ხანგრძლივი დროის მანძილზე „მადლის“ ბიბლიოთეკა შეიქმნა. ამ ბიბლიოთეკიდან ზოგი რამ უკვე ცალკე წიგნებადაც დაიბეჭდა, სახელდობრ: თეოფილაქტე ბულგარელის „მათეს სახარების კომენტარები“, „ვინ არიან იეღოვას მოწმეები?“, „წესი ქრისტიანის ცხოვრებისა“ (1994 წლის საეკლესიო კალენდარი), ბასილი დიდის „ფსალმუნთა განმარტებანი“, ეპისკოპოს სემიფონოვ-ტიან-შანსკის „მართლმადიდებლური კატეხიზმო“ (1995 წლის საეკლესიო კალენდარი), „დოგმატურ-ისტორიული საკითხები“, ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“ (იბეჭდება); ასევე გამოსაცემია უწმიდესის ქადაგებანი, ვრცელი წერილების სერია „აზრი და ენა ხატებისა“, ძველი და ახალი აღთქმის საღვთო ისტორიები და სხვ.

დღეს, როცა „მადლის“ მეასე ნომერი გამოვიდა, მადლობას ვუხდით უფალს ყოვლისათვის, იმ სიძნელეებისთვისაც, რომელთა გადალახვაც მისი თითქმის ყოველი ნომრის გამოსვლისას გვიხდება და იმ სიხარულისთვისაც, რასაც მისი ყოველი ნომერი განგვაცდევინებს.

ჩვენს საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რას წარმოადგენდა საქართველოსთვის ეს ბოლო ხუთი წელიწადი. „მადლმა“ თავის თავზეც გამოსცადა ყველა ის განსაცდელი, რაც ამ ხნის მანძილზე ჩვენს ხალხს თავს დაატყდა და თანაც ისე, რომ ოდნავადაც არ გადაუხვევია ეკლესიის პოზიციისათვის, რაც სიმართლის ღალატის გარეშე ქართველთა მორიგებასა და მათ შორის სიმშვიდის დამკვიდრებას გულისხმობს. ისე რომ, არც ერთ პოზიციაზე მდგომი ქართველისათვის გულისტკივილი არ მიუყენებინა, „მადლმა“ შეძლო გამოეკვეთა თავისი პოზიცია ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლაში. პოლიტიკური ბატალიების აღწერის გარეშე მის ფურცლებზე რაც შეიძლებოდა ობიექტურად აისახა ის ძირითადი მოვლენები, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

მადლობა ღმერთს, ეს მხოლოდ რედაქციის აზრი არ არის, ამაზე მკითხველთა გამოკითხვის შედეგებიც მეტყველებს, რომელიც საქართველოს ტელევიზიით გადაიცემა: ქართულ პრესაში „მადლი“ პირველ ადგილზე დგას სანდოობის თვალსაზრისით, რასაც რედაქცია უდიდეს გამარჯვებად მიიჩნევს.

როგორც „მადლის“ ასმა ნომერმა დაგვარწმუნა, გაზეთს ძირითადად სწორი ორიენტაცია აქვს აღებული. მომავალში ჩვენ ამ ორიენტაციის შენარჩუნებისა და იმ სურვილების შესრულებისათვის ზრუნვა გვმართებს, რომელიც მისმა უწმიდესობამ „მადლის“ მეასე ნომრისათვის დაწერილ წერილში გამოხატა, კერძოდ, გაზეთმა უფრო ვრცლად და ღრმად უნდა გააშუქოს დღევანდელი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთობისა და თავისი წვლილი შეიტანოს იმ კავშირის აღდგენაში, რომელიც რელიგიასა და მეცნიერებას შორის, სამწუხაროდ, უკვე კარგა ხანია, რაც დაირღვა.

„მადლის“ გამოცემა მომავალშიც, ალბათ, მრავალ სიძნელესთან იქნება დაკავშირებული. მთავარია უფალმა უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით არ მოგვაკლოს მისი წყალობა და არ გაგვიხელოს ის ტკივილთმოყვარება, რომლითაც გაზეთის ყოველი ნომერია შექმნილი.

გამოგადგებათ

რუბრიკას უძღვება გია კახნიაშვილი.

# ყურადღება: გამოცდილება!

● **მოსკოვის** მთავრობამ მიიღო დებულება უძრავი ქონებით ოპერაციების წარმოების ლიცენზირების შესახებ, რის თანახმადაც ამ ოპერაციებს განეკუთვნება საცხოვრებლით ვაჭრობა, საბინაო აუქციონების მოწყობა, მოხუცებულთა სრულ კმაყოფაზე აყვანა მათი საცხოვრებლის შემდგომი მემკვიდრეობის უფლებით.

● **გადამყიდველებისაგან** მოსახლეობის დაცვის, პროდუქციის დანაკარგების შემცირებისა და მთელი წლის განმავლობაში რეგულარული ვაჭრობის უზრუნველყოფის მიზნით მოსკოვში ორგანიზებულია საბითუმო-სასურსათო ბაზარი, რომლის საშუალებით მყარდება უშუალო კონტაქტი საქონელმწარმოებლებთან. საბითუმო ბაზარი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას.

● **მოსკოვის** სათათბიროს გადაწყვეტილებით, გაიზარდა სატრანსპორტო გადასახადი მსუბუქი ავტომობილების მფლობელებისათვის. გადასახადის ოდენობა დამოკიდებულია ავტომობილის მოდელზე. განსაკუთრებით მაღალი გადასახადია მეირადღირებულ უცხოური მარკის ავტომობილებზე.

● **მოსკოვის** შინაგან საქმეთა სამმართველომ შექმნა მოქალაქეთა კერძო საკუთრების დაცვის ქვეგანყოფილება, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია არის მოქალაქეთა უძრავი ქონების დაცვა ქალაქგარეთ სააგარაკო ზონებში.

● **რუსეთში** შეიქმნა სპეციალური საბანკო ქსელი, რომლის მიზანია რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურება, პარალელურად გამკაცრდა გადახდის პირობები და შემოიღეს ტვირთის გადასაზიდი ექსკლუზიური ფიუჩერსული კონტრაქტები.

● **რუსეთის** სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კანონი „განათლების შესახებ“. ამ კანონის თანახმად ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ სასწავლებლებზე, სადაც შეთავსებით მუშაობს პედკოლექტივის არა უმეტეს 30 პროცენტისა.

● **სომხეთის** ოცდაათი ბანკი გაერთიანდა ასოციაციად. ამერიკელი სპეციალისტების შეფასებით გაერთიანების მიზანია ბანკების მოქმედების კოორდინირება და მათი ინტერესების წარმოდგენა სამთავრობო სტრუქტურებში.

● **რუსეთში** შეიქმნა სააქციო საზოგადოება „რუსეთის საინფორმაციო რესურსები“. ახალი სტრუქტურა ჩამოყალიბდა მცირე ბიზნესის მხარდასაჭერი სამთავრობო პროგრამის ფარგლებში. მისი მიზანია რუსეთის მასშტაბით საინფორმაციო საანალიზო ცენტრის შექმნა, რომელიც კომერციულ საფუძველზე იმოქმედებს.

● **რუსეთის** სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კანონი საფინანსო საწარმოო ჯგუფების შესახებ. ამ ჯგუფების წევრები დთხ-ს სხვა ქვეყნებიდან ისარგებლებენ რუს მონაწილეებთან ერთად სხვადასხვა საფინანსო შეღავათებით.

● **რუსეთის** სახელმწიფო სათათბიროში მუშავდება კანონპროექტი „სახელმწიფო სამედიცინო კომისიის შესახებ“. ამ კომისიის მიზანია სახელმწიფოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესრულების ქმედითუნარიანობის დასადგენად.

● **ურთიერთდავალიანების** პრობლემის გადაჭრის მიზნით რუსეთში ამოქმედდა ერთიანი სათამასუქო სისტემა, ხოლო იმავდროულად ურთიერთანგარიშსწორების სრულყოფისათვის მთავრობის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა რეგიონული ოპერატიული კომისიები. ინფორმაცია ამ კომისიების მუშაობის შესახებ ყოველკვირეულად მოხსენდება მთავრობას, ხოლო პასუხისმგებლობა კომისიების მუშაობის შესახებ ეკისრება ფედერაციის სუბიექტების ადმინისტრაციების ხელმძღვანელებს.

● **რუსეთის** მთავრობის დავალებით ფინანსთა სამინისტრომ შექმნა მიზნობრივი საფინანსო რეზერვი სტიქიურ უბედურებათა შედეგების სალიკვიდაციოდ. რეზერვის ფორმირება მოხდა ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე.

● **ქალთა** შორის უმუშევრობის შემცირების მიზნით ბაშკირეთის დასაქმების ცენტრმა ქალაქ უფაში მოაწყო ვაკანსიების აუქციონი სპეციალურად ქალებისათვის.

● **რუსეთის** საზღვარგარეთთან ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრომ მკვეთრად გაილაშქრა საექსპორტო საქონელზე ლიცენზიების გაცემის წინააღმდეგ. იმავდროულად რუსეთში შედგა ექსპორტიორი ორგანიზაციების რეესტრის პრეზენტაცია.

● **რუსეთის** ცენტრალურ ბანკთან შეიქმნა ეროვნული საბანკო საბჭო, რომლის მიზანია ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფა. საბჭოში შევიდნენ უდიდესი კომერციული ბანკების წარმომადგენლები.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

## გროზნო: სამი კრიტიკული დღე

**ერთი შეხედვით, ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, რომ უკვე კვირას გროზნოში ჩეჩნეთის კრიზისის მოწესრიგების თაობაზე მოლაპარაკების მონაწილეებს ხელი უნდა მოეწერათ დასკვნითი, კომპრომისული დოკუმენტისათვის.** ამაში დარწმუნებული იყვნენ რუსეთის სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელი ვიაჩესლავ მიხაილოვი და ჩეჩენ სეპარატისტთა დელეგაციის ხელმძღვანელი უსმან იმაევი. აღნიშნავენ, რომ მიაღწიეს შეთანხმებას ჩეჩნეთის სტატუსზე, რომელიც საბოლოოდ განისაზღვრება რუსეთის კონსტიტუციისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე და არ უნდა უპირისპირდებოდეს ფედერალურ ხელშეკრულებას.

საველე მეთაურებთან შესახვედრად ჩეჩნეთის მთიანი რაიონები მოიარა უსმან იმაევმა. გროზნოში დაბრუნებისთანავე მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი შეხვედრა საველე მეთაურებთან წარმატებით დამთავრდა და გროზნოში მოლაპარაკებაზე შესათანხმებელი დარჩა მხოლოდ „ტექნიკური დეტალები“. გარკვეული ეჭვი დასკვნითი დოკუმენტის ხელმოწერასთან დაკავშირებით გამოთქვა რუსეთის სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ არკადი ვოლსკიმ, იმაევისათვის ძნელი იქნებოდა საველე მეთაურების დარწმუნება მოლაპარაკებაზე შემუშავებული დოკუმენტის პროექტის ხელმოწერის აუცილებლობაშიო. მისი აზრით, საქმეს ართულებს უთანხმოება ჩეჩენთა შორის: თავისი მომხრეები ჰყავს ჯოხარ დუდაევს, შეიარაღებული ფორმირებების შტაბის უფროსს ასლან მასხადოვს და ჩეჩენთა ბატალიონის მეთაურს, ბუდიონოვსკის ტერორისტული აქციის თავკაცს შამილ ბასაევს. მოვლენათა განვითარებამ ეს ეჭვი, როგორც ჩანს, დაადასტურა. კვირას განახლებულ სამშვიდობო მოლაპარაკებას, როგორც აღნიშნავენ, „გაციების გამო“, არ დასწრებია დელეგაციის ხელმძღვანელი უსმან იმაევი. ჩეჩენთა დელეგაციის მეორე გავლენიანმა წევრმა ასლან მასხადოვმა განაცხადა, მოლაპარაკება, სამი დღით შეწყდა, ვინაიდან საჭიროა დელეგაციებმა კონსულტაციები გამართონ ხელმძღვანელობასთანო. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ მიხაილოვმა თქვა, რომ შეთანხმებულია ხელმოსაწერი საბოლოო დოკუმენტის ძირითადი დებულებები, რომ ჩეჩენთა დელეგაციის მხრიდან გარკვეული გართულება გაჩნდა ჩეჩნეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მოითხოვენ არჩევნებამდე ჩეჩნეთის სტატუსის ცნობას. თუმცა მხარეები ადრე შეთანხმდნენ, რომ საბოლოო სტატუსი უნდა განისაზღვროს რუსეთისა და ჩეჩნეთის ახალი კონსტიტუციების საფუძველზე. შეხვედრის შემდეგი რაუნდი ოთხშაბათს უნდა გაიმართოს.

იტარ-ტასის ცნობით (რომელიც ჩეჩნეთში რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობიდან მიღებულ ცნობას ეყრდნობა) ჩეჩნეთის სამხრეთში საომარი მოქმედების ტერიტორიულ ზონებში ბოევიკები იყენებენ თავიანთი ძალების გადასაჯგუფებლად და შეიარაღების შესავსებად. აღნიშნავენ, რომ საომარი მოქმედების შვიდი თვის მსვლელობისას ჩეჩენმა ბოევიკებმა მთლიანად დაკარგეს მძიმე შეიარაღება და ცალკეულმა რაზმებმა მთიან სოფლებს შეაფარეს თავი, სადაც საომარი მოქმედების განახლების შემთხვევაში მათ განადგურება ემუქრებათ. მნიშვნელოვანია სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლი, თითქმის ნახევარ მილიონამდე მცხოვრებმა დატოვა საცხოვრებელი ადგილები და ამჟამად ნელ-ნელა თუ უბრუნდება სახლებს. ამ რეალობათა გააზრებამ, როგორც ჩანს, ჩეჩენთა ბევრი ლიდერი აიძულა, მიუხედავად მათ შორის უთანხმოებისა, ერთადერთი გამართლებული გზა აერჩიათ — დათანხმებულიყვნენ საყოველთაო არჩევნების ჩატარებას, შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებას, ფედერალური ჯარების მცირეოდენი კონტინგენტის განლაგებას, ახალი კონსტიტუციის მიღებას და რუსეთის ფედერაციასთან საერთო ენის გამონახვას.

## სტარტი აიღო წინასაარჩევნო კამპანიამ

**რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, რომელიც მკურნალობას გადის მოსკოვის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში (სადაც მან კვირის ბოლომდე უნდა დაჰყოს ჯანმრთელობის აღსადგენად)** ხელი მოაწერა ბრძანებულებას — 17 დეკემბერი გამოაცხადა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების თარიღად. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კამპანია უნდა დაიწყოს მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება საარჩევნო ოკრუგების სქემა, წინასაარჩევნო კამპანია ფაქტობრივად უკვე დაიწყო. არჩევნების შესახებ კანონით სქემა უნდა გამოქვეყნდეს არჩევნებამდე არაუგვიანეს 111 დღისა. მიუხედავად ამისა, ბევრი კანდიდატი უკვე იწყებს სააგიტაციო კამპანიას. კერძოდ, ფრაქცია „იაბლოკოს“ ლიდერმა გრიგორ იავლინსკიმ უარი თქვა დასვენებაზე და აპირებს მოგზაურობის დაწყებას თავისი კანდიდატების სააგიტაციოდ.

## ხელს მოაწერენ სავაჭრო შეთანხმებას

**ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში იმყოფება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი.** იგი მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაში. ხელს მოაწერს რუსეთსა და ევროკავშირს შორის დროებით სავაჭრო შეთანხმებას, რომელიც დიდად სასარგებლო იქნება რუსეთისათვის. შეთანხმების ხელმოწერა შეაჩერეს იანვარში იმასთან დაკავშირებით, რომ ჩეჩნეთში გრძელდებოდა საომარი მოქმედება და არ ჩანდა მისი მშვიდობიანი მოწესრიგების გადაწყვეტის პერსპექტივები. მინისტრები განიხილავენ, აგრეთვე, ბოსნიაში შექმნილ ვითარებას.

**ირაკლი ჯაფარიძე.**

დაზუსტება

**გაზეთ** „საქართველოს რესპუბლიკის“ 15 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში — **„პოლიტიკური კავშირის „თანადგომის“ წესდება“** — დაშვებულია რამდენიმე უზუსტობა.

1.2. მუხლი უნდა იკითხებოდეს: **„კავშირი აერთიანებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ საარჩევნო ხმის უფლება და აღიარებენ კავშირის წესდებასა და პროგრამას“.**

1.5. მუხლი უნდა იკითხებოდეს: **„კავშირი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“.**

1.7. მუხლი უნდა იკითხებოდეს: **კავშირის ოფისის მისამართია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 150.**

2.1. მუხლი ზემოდან მეთექვსმეტე სტრიქონიდან უნდა იკითხებოდეს: **„...ლის ეკონომიკური აღორძინება, საზოგადოების ყველა ფენის სოციალური დაცვის...“** შემდეგ როგორც ტექსტშია.

3.1. მუხლი უნდა იკითხებოდეს: **„კავშირ „თანადგომის“ წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ნებისმიერი სრულწლოვანი მოქალაქე, რომელიც აღიარებს მის წესდებასა და პროგრამას“.**

3.2. მუხლი უნდა იკითხებოდეს: **„კავშირის წევრად მოქალაქეთა მიღება ხდება პირადი განცხადების საფუძველზე“.**

3.3. მუხლის მესამე პუნქტი უნდა იკითხებოდეს: **„მიიღოს ინფორმაცია კავშირის საქმიანობის შესახებ“.**

10.1. მუხლი უნდა იკითხებოდეს: **„კავშირ „თანადგომის“ კონფერენცია დელეგატთა კვალიფიციური უმრავლესობის გადაწყვეტილებით უფლებამოსილია გამოაცხადოს კავშირის ლიკვიდაცია და განსაზღვროს მისი ქონების შემდგომი ბედი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.**

სინამდვილე კი ასეთია

# აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა

**აფხაზეთის** ჩრდილო-დასავლეთში, მდინარეების გუმისთასა და ფსოუს შორის კიდევ 27 მდინარე მიედინება, რომელთაგან 18 აქვს აფხაზურ-ადიღეურ ენათა საფუძველზე წარმოქმნილი სახელწოდება, ხოლო 9 მდინარის სახელწოდება კი შეიცავს როგორც აფხაზურ-ადიღეური, ისევე ქართული ენების ელემენტებს, რაც, პროფ. გ. ფიფიას აზრით, ამ რეგიონში ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორით შეცვლას მოწმობს. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ აფხაზეთის ყველაზე დიდი მდინარეების კოდორისა და ბზიფის სათავეებში შენაკადთა სახელწოდებების უმრავლესობა წმინდა სვანური, ხოლო ზოგიერთის სახელწოდება აფსუა ენიდან მომდინარეობს ან ამ ორი ენის ელემენტებს შეიცავენ. მაგალითად, სვანური წარმოშობის შენაკადებია: ორმელენთი, ნამხარო, ბარდლვი-ჩამკრავერი, სისინა, ნაჭვალი, გენწვიში, ლამკაცი, ჩხალთა, კვარაში, გრაფი, მოუდიდი, ბეშთა, ბიღდაზია, გრბჭა, გვაშთხვა.

ამრიგად, მდინარეთა სახელწოდებების მიხედვით თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად მეგრელი და სვანი ტომები ცხოვრობდნენ. რაც შეეხება შედარებით მცირე რაოდენობით მდინარეთა სახელწოდებებს აფსუა ენიდან წარმოშობის საკითხს, იგი შეიძლება შემდეგი გარემოებით აიხსნას: ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები თავდაპირველად ძირითადად შედარებით უკაცრიელი პატარა მდინარეების (ღელეების) აუზებში სახლდებიან და ამ მდინარეებსაც (ღელეებს) თავიანთ სახელწოდებებს არქმევენ. ამიტომაცაა, რომ აფხაზეთის ყველა დიდი მდინარის სახელწოდება, რომელთა აუზებში ქართველი ტომები უხსოვარი დროიდან განუწყვეტლივ სახლობდნენ, ქართული წარმოშობისაა. ამასთან დიდი მდინარეების სახელწოდებები, რომლებიც უკვე ფართოდაა ცნობილი ადგილობრივ და მეზობელ ტომებში, თუნდაც გარკვეულ პერიოდში მოსახლეობა უკვე მათ აუზებში მცირე რაოდენობით ან აღარც ცხოვრობდეს, შეცვლას ნაკლებად ექვემდებარება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ პროფ. გ. ფიფია ზოგიერთი მდინარის სახელწოდებას ფსა დაბოლოებით, აფსუა ენიდან წარმოშობილად თვლის, უფრო სწორად, სუფთა აფსუა სახელწოდებად მიიჩნევს. საერთოდ ფსა ნაწილაკის ახსნას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარეთა სახელწოდებების ეთნიკური კუთვნილების გასარკვევად. როგორც აკად. ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, „სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ტოპონიმიკაში, კერძოდ, მდინარეთა სახელწოდებაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) გვხვდება ფსა (ფს) დაბოლოების მქონე სახელები (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია). ტოპონიმიკურ სახელთა ეს ელემენტი სავსებით სამართლიანად მიჩნეულია ადიღეურ (ჩერქეზულ) სიტყვად, სადაც იგი წყალს აღნიშნავს და აგრეთვე გამოიყენება როგორც რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი წყლის მნიშვნელობის გადმოსაცემად“. მართლაც, ს. ჯანაშია აღნიშნავდა, რომ „ფსა, როგორც მდინარეთა სახელების მაწარმოებელი ფორმანტი, ეჭვს გარეშე აღმოჩნდა. ასევე უდავო იყო ჩვენთვის, რომ ეს ნაწილაკი არის ჩერქეზული სიტყვა „ფსო“, რომელიც ნიშნავს „წყალი“, „მდინარე“ და რომელიც აწარმოებს მრავალი მდინარის სახელს, ჩერქეზთა ყოფილს ან აწინდელ ტერიტორიაზე“. საქართველოს ტერიტორიაზე ამჟამად (და ისტორიულადაც) გვხვდება ფსა დაბოლოებით მდინარეთა სახელწოდებები: სუფსა, ნიკოფსია, ლაგუმფსა, აკამფსი (ანტიკურ მწერლობაში მდინარე ჭოროხის სახელწოდება) და სხვ. თუ დავუშვებთ რომ სიტყვა ფსი (ფსა) ჩერქეზულიდან მომდინარეობს, მაშინ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზული მოსახლეობის კვალიც ჩანს, რომელიც მათ ადგილობრივ ტოპონიმიკაში დატოვეს. ს. ჯანაშია ამის შესახებ გარკვევით აღნიშნავდა: „საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს... ეს კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევია“. ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში, ქართული ისტორიული მეცნიერების კორიფეების — ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და სხვ. აზრით ქართველები და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ტომი, მათ შორის, აფხაზებიც ამ ტერიტორიაზე მოსულებად ითვლებოდნენ. შემდგომში ეს შეხედულება შეიცვალა და ამჟამად მათ ოდითგანვე აქ მცხოვრებ, მკვიდრ მოსახლეობად მიიჩნევენ. ამდენად, თუ ისინი მოსულები იყვნენ ამ ტერიტორიაზე, ბუნებრივია, გზადაგზა თავიანთ კვალსაც ტოვებდნენ ტოპონიმების სახით. ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილის გამო იმდენად დიდი იყო ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ავტორიტეტი, რომ ჩერქეზული ტოპონიმების არსებობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საეჭვოდ არავის გაუხდია, რაც ადასტურებდა აქ ადრე ჩერქეზული მოსახლეობის გავრცელებას და ამდენად ქართველებისა და ჩერქეზული ტომების მოსვლის თეორიას. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას დაკვირვებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფსა დაბოლოების მქონე მდინარეთა სახელწოდებებში ფს ნაწილს საკუთრივ აფხაზურად არავითარი განმარტება არ მოეძებნება. ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებს მ. ინაძე: „გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსად, არც ერთ თავის ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია ზემოთ განხილულ ტოპონიმებს (მხედველობაშია ძირითადად ფს — ძირიანი ტოპონიმები — ა. თ.) არ უკავშირებდნენ საკუთრივ აფხაზურ ეთნიკურ წრეს“. ფს — დაბოლოებიან ტოპონიმებს ისინი მხოლოდ ადიღეური (ჩერქეზული) ენის საფუძველზე ხსნიან.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, პირველად პ. ინგოროყვამ მიაქცია ყურადღება იმ საკითხს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზულად მიჩნეული ტოპონიმები სინამდვილეში ქართული წარმოშობისაა, კერძოდ, როგორც იგი მიუთითებს, მართალია, ჩერქეზულ ენაზე სიტყვა „ფსო“ წყალს აღნიშნავს, მაგრამ „ამავე ფუძისეული სიტყვა არსებულა არქაული პერიოდის ქართულშიც, რა დროსაც ეკუთვნის ამ გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობა“.

მართლაც, ქართულ ენაში სიტყვა ფს-ი ძირეულია და აღნიშნავდა ცნებას „წყალი“. ამას, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს უძველესი ქართული სიტყვა ფსელი (ფს-ელი) და სიტყვა ფს-ი ფუძის მრავალგვარი განშტოება: „ფშა“, „ფშანი“, „ფშა-ტალა“, რაც შესაბამისად წყაროს, წყარო-მდინარეს, თოვლ-ნარევ წყალს ნიშნავს. საგულისხმოა ისიც, რომ „ფსია“ მეგრულ დიალექტზე დიდ-წყლიანობას აღნიშნავს. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტებულია სიტყვები ფს-ელი, ფს-მა, შეფს-მა, მ-ფს-მელი. ამ სიტყვების წყაროსეული განმარტება ბიბლიიდან ასეთია: ფსელი: „არა... მესუან ფსელი თვსი“; ფსმა: „აფსმიდეს კედელსა“. შეფსმა: „რომელმანცა შეაფსა კედელსა“; მფსმელი (ვინც აფსამს): „მოვსრა იერობოამისი მფსმელიცა კედელსა“. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ფსმა — ფსლის დათხევაა, ხოლო მოფსმა — ფსლის დაქცევაა. დავით ჩუბინაშვილს ფსმა და მოფსმა განმარტებული აქვს, როგორც შარდზედ გასვლა, შარდზედ მიდგომა. შარდზე გასვლა კი ქართულში წყლის დაღვრის ტოლფასია. ერთ-ერთ ქართულ ზღაპარში აღნიშნულია: ქალს „ერთ ადგილას შარდზე გასვლა მოუნდა; იქვე ჩაჯდა. მერე ხმირი აიღო და დაქცეულ წყალს დაუწყო ჯვარედინად გადახაზვა“. საგულისხმოა, რომ ზღაპარი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაშია ჩაწერილი. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნული სიტყვები: ფსკერი, ფსკა (დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებული მწვანე ლორწოსებრი მასა), ფსორი (მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი) და სხვ.

აქ მიზანშეწონილია „ფშ“-ძირიან ტოპონიმების შესახებაც აღინიშნოს. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, „თუმცა ფშ კომპლექსი თანამედროვე ჩერქეზულს წყლის სახელად აღარ აქვს, მაგრამ წინათ რომ ჰქონია, ეს იქითგანაც ჩანს, რომ ქვიშას, ლაშს ჩერქეზულად ეხლაც ფშახუა და ყაბარდოულად ფშახო ეწოდება. თუ ჩვენ ამავე აზრს ფს ნაწილის მიმართ გავიმეორებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფს კომპლექსი თანამედროვე ქართულ ენაში წყლის სახელად აღარ გვაქვს, მაგრამ წინათ რომ ჰქონია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ფსკა ქართულად ახლაც დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებულ მწვანე ლორწოსებრ მასას, ხოლო ფსორი მდინარის მიერ დატოვებულ კალაპოტს ნიშნავს. ამავე დროს, თვით სიტყვა „ფშაც“ ქართულში წყლის ცნებას უკავშირდება. პ. ინგოროყვა ამის შესახებ აღნიშნავს: ფსი ფუძე — სიტყვის განშტოებას წარმოადგენენ: „სიტყვა „ფშა“, რაც ნიშნავს წყაროს, წყალს; „ფშანი“ — დიდი ფშა, წყარო მდინარე; „ფშა-ტალა“ — სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „წყალი თოვლ-ნარევი“.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს საქართველოს დიდი მდინარეების ფაზისის, აკამფსისის (შესაბამისად რიონისა და ჭოროხის ისტორიული სახელწოდება) და სუფსის სახელწოდებები, რომელთა ქართულ წარმოშობაზე შეიძლება ფსი ტერმინის საშუალებით ან კერძო შემთხვევაში მის გარეშეც ვიმსჯელოთ. მაგალითად, მართალია, ფაზისის ფსასთან მიმართების საკითხი მეცნიერებაში საკმაო ხანია დგას, მაგრამ გადაწყვეტილი არ არის. ს. ჯანაშია ფაზისს ფოთ-ფუთ (საყურადღებოა სოფლის სახელი „ფუთი“ ზემო იმერეთში) ფუძესთანაც აკავშირებს. რაც შეეხება სუფსას, ეს მდინარე სათავეს სურების მთებში იღებს და ამდენად სუფსა (სურ-ფსა) ნიშნავს სურების წყალს, სურების მდინარეს (ამ მხრივ, ჩვენი აზრით, ასევე საყურადღებოა სოფლის სახელი „რუფოთი“ იმერეთში).

ჩვენს მიერ მოტანილი მსჯელობის შემდეგ მთავარი საკითხი მაინც გადასაწყვეტი რჩება, კერძოდ, როგორ მოხდა, რომ სიტყვა ფს (ფსა) ქართულსა და ჩერქეზულ (ადიღეურ) ენებში წყალს ნიშნავს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ეს უბრალო დამთხვევით აიხსნას. როგორც ჩანს, ქართველი ტომები დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე (და ბევრად უფრო ჩრდილოეთითაც) უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ და ამდენად აფხაზეთში გავრცელებული ჰიდრონიმებიც ქართული წარმოშობისაა. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ქართველი ტომების ცხოვრების ფართო არეალს, რომელიც უძველეს დროში იმ ტერიტორიებსაც მოიცავდა, სადაც გვხვდება ფსა დაბოლოებით მდინარეთა სახელწოდებები, მაშინ უფრო მისაღები ის აზრია, რომ ფსა სიტყვა ქართულიდან შევიდა ჩერქეზულ ენაში. ე. ი. უშუალოდ ქართული სამყაროს გვერდით ცხოვრების პერიოდში სრულიად დასაშვებია, რომ ჩერქეზულ ტომებს ქართული ფსა სიტყვაც შეეთვისებინოთ. მაგრამ აქ გარკვეულ დაბრკოლებასაც ვაწყდებით. ფსა როგორც ძირეული სიტყვა არ უნდა დაკარგულიყო აქ მცხოვრებ ქართველ ტომებში და იგი ჩერქეზულსაც არ უნდა მიეღო. მაგრამ ისტორიაში გვხვდება არა ერთი და ორი შემთხვევა, როდესაც ძირეული სიტყვებიც ტოვებენ ასპარეზს და მათ ადგილს უცხოური წარმოშობის სიტყვები იკავებენ. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ფუძე-ენისაგან ფსა მიიღო აქ მოსახლე ქართველმა ტომებმა, იგი მათ ენათა უძველეს ფონდს განეკუთვნება. ამდენად ფსა ქართულში წინარეული ქართული ფუძე-ენიდან მომდინარეობს, ხოლო სიტყვა წყალი იქ შედარებით მოგვიანებით შემოსულად ჩანს: ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ქართულმა სიტყვამ წყალმა გარკვეულ პერიოდში აჯობა, დაჩაგრა დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართულ ტომებში გავრცელებული „ფსა“ სიტყვა, რომელიც „წყლის“ მნიშვნელობით სიტყვა „ფსელში“ და ზოგიერთ სხვა ქართულ სიტყვაში შემორჩა. სამაგიეროდ იგი ისესხა ჩერქეზულმა ენამ. ამასთან „ადამიანები შეგნებულად კი არ ცვლიან თავიანთ ენას, არამედ ცვალებადობა შეუგნებლად ხდება და დროთა განმავლობაში ენამ შეიძლება ისეთი სახე მიიღოს, რომ წინაპართა მეტყველება სრულიად გაუგებარი გახდეს შთამომავლობისათვის“ (თ. შარაშენიძე). ეს მით უფრო გამართლებული არის ცალკეული სიტყვებისათვის. ქართულ ენაში ამის არა ერთი და ორი მაგალითი მოგვეპოვება. კერძოდ, ქართულ ენაში ძველად აბრეშუმს ჰპენაური ერქვა. ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში, „შუშანიკის წამებაში“, რომელიც მე-5 საუკუნით თარიღდება, აღნიშნულია: „წმიდამან შუშანიკ ნაცვლად ჰპენაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებით ხელთა აღიხვნა დავითნი“. მე-18 საუკუნეში კი დავით გურამიშვილი აღნიშნავდა: ღმერთმან ქვეყნად რაც მოჰფინა, ყველა ჩვენთვის განაჩინა... ჭიაც ჩვენთვის ამუშაკა, ჰპენაური აპარკინა. მიუხედავად ამისა, მაინც შემოვიდა სპარსულიდან აბრეშუმი, ხოლო ჰპენაური თანამედროვე ქართველისათვის გაუგებარი გახდა. რომ არა წერილობითი ძეგლები, ეს სიტყვა საერთოდ დაიკარგებოდა. როგორც ჩანს, ასე მოუვიდა ფსა სიტყვასაც, ოღონდ ამ შემთხვევაში ერთი ქართული სიტყვა მეორე ქართული სიტყვით შეიცვალა. ე. ი. ქართულმა წყალმა აჯობა მეგრულ-ჭანურში ფუძე-ენიდან ნამემკვიდრევ სიტყვა ფსას. საერთოდ სიტყვათა იგივეობის შემთხვევაში არც ისე იშვიათად ხდება სიტყვის სესხება მონათესავე ენიდან ან რომელიმე არამონათესავე ენიდან. „ხოლო სესხება ენებს შორის სავსებით ნორმალურ მოვლენას წარმოადგენდა მათი განვითარების უძველეს საფეხურზედაც. თვით ისეთი სიტყვებიც კი, როგორიცაა ქართ. და ჭან. ბიჭი, რომელიც ჩვენ ენათათვის სპეციფიკურ ბგერას (ჭა-ს) მოიცავს, ნასესხებად ითვლება სპარსულიდან (თ. შარაშენიძე). ამავე დროს არც ის არის გამორიცხული, რომ შორეულ წარსულში ქართულისა და ჩერქეზულისათვის, როგორც მონათესავე ენებისათვის, „ფსა“ სიტყვა საერთო ყოფილიყო.

**აჩიკო თოთაძე.**

(დასასრული იქნება)

გამოქვეყნდა. დასაწყისი იხ. „სრ“ №№ 77, 78, 79, 80-81, 82, 83.

ალბათ ყველა დამერწმუნება, რომ სრულყოფილი პროფესიული ფილმის შექმნა ისეთ პირობებში, როცა მთავარი როლის შემსრულებლის ჰონორარი ერთ დოლარს ძლივს აღემატება, არა მარტო შემოქმედებით, არამედ ზნეობრივ გმირობადაც უნდა ჩაითვალოს!

„ჩაკლული სული" გრიგოლ რობაქიძის ამავე სახელწოდების რომანის წარმატებით დაგვირგვინებული ეკრანიზაციაა.

სიმართლე გითხრათ, ფილმის სანახავად რომ მიმიწვიეს, ფეხები უკან მრჩებოდა. ვფიქრობდი — ეჰ, ალბათ უსახსრობის გამო, რაღაც მიაფუჩეჩეს, თორემ, აბა, ორიოდე გროშის პატრონი, რაგინდ დიდი ნიჭიერებითა და მონდომებით აღჭურვილნიც არ ყოფილიყვნენ, მხოლოდ შიშველ ენთუზიაზმზე დაიდობით, ცოტად თუ ბევრად საინტერესო კინონაწარმოების შექმნას როგორ შეძლებდნენ-მეთქი?!

საბედნიეროდ, ჩემი შიში არ გამართლდა — სურათი მომეწონა. მოეწონათ სხვებსაც, რაც გულწრფელი ტაშით გამოიხატა. დარბაზი კი ისეთი მაყურებლით იყო სავსე, რომელსაც გემოვნებასა და „მოწთ...ობას" ვერავინ დაუწუნებს. ამიტომაც აღარ შევუდგები ფილმის დაწვრილებით განხილვას. ამჯერად მხოლოდ უმთავრესზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას და ვიტყვი, რომ ხსენებული კინოფირი, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების ფონზე, ქმნის უთვალსაჩინოეს კონტრასტს დღევანდელობასა და ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის სისხლიანი რეპრესიების შედეგად საქართველოში აღმოცენებულ მძაფრ ტოტალიტარულ რეჟიმს შორის, რაც, თავისთავად, ხელს უწყობს მაყურებელს, წარსულსა და აწმყოზე დაკვირვებითა თუ უბრალო პარალელის გავლებით, მართლად შეაფასოს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, ანუ ის უპირატესობა, რაც დემოკრატიული წყობის პირობებში ექნება ჩვენს ქვეყანას. ეს კი პატარა საქმე არ გახლავთ!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო მართვის დემოკრატიული პრინციპისგან განსხვავებით, ტოტალიტარული რეჟიმი დაუნდობლად ებრძვის ადამიანის უფლებათა ყოველგვარ გამოვლენას, ყოველგვარ ნიჭსა თუ უნარს, რომელიც დიქტატურის სასარგებლოდ არ იქნება გამოყენებული. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი ხმარობს უსასტიკეს ანტიჰუმანურ მეთოდებს, რომელთა შორის უმთავრესი არის ტერორი! სწორედ ტერორი ქმნის განუწყვეტელ შიშსა და არსებული ძალაუფლების მორჩილებისადმი აუცილებლობის ატმოსფეროს.

დიდმა რუსმა მწერალმა დოსტოევსკიმ, სხვათა შორის, ამ ფენომენსაც მიუძღვნა საქვეყნოდ ცნობილი რომანი „ავსულები", რომლის იდეები გრიგოლ რობაქიძის რომანის მთავარი გმირის თამაზ ენგურის მსჯელობის საგანსა და, მერე, დაპატიმრების მიზეზსაც წარმოადგენს. დოსტოევსკისეული „ჰაერის უკმარისობა", რასაც ასე მძაფრად განიცდიდა მწერალი იმდროინდელ სექტანტთა კრებებზე, გაცილებით აუტანელი გახდა „ახალი იმპერიის" ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. დიახ, სწორედ ამ „ჰაერის უკმარისობას", სივრცის დახშულობას და თავისუფლად მოაზროვნე პიროვნების ულმობელ ჩაგვრას გვაგრძნობინებს ფილმი „ჩაკლული სული". ფილმის გმირებს იმთავითვე შეზღუდული სამოქმედო ასპარეზი თანდათან უფრო იზღუდება, თანდათან უფრო პატარავდება და საბოლოოდ „შაგრენის ტყავივით"

მეათე მუზა

# ეკრანზე ვნახავთ „ჩაკლულ სულს"!



ქრება. ქუჩა, ბინა, მოედანი, ყველაფერი იკუმშება. იკუმშება ჰაერი! აი, როგორ აღიქვამს პოეტი მანდელშტამი ამ მოვლენას:

„პური მოიწამლა, ხივრცე დაიწრიტა
მიჭირს იარათა ჩემთა განკურნება".

ფილმს რომ ვუყურებდი, მალდენშტამის ეს სტრიქონები რეფრენივით თან დევდა ჩემს ფიქრებს, განსაკუთრებით მსახიობ მურმან ჯინორიას მიერ შექმნილი მთავარი გმირის თამაზ ენგურის უსასრულოდ სასოწარკვეთილი პიროვნების აღქმისას.

მურმან ჯინორია შესანიშნავად მეტყველებს, შესანიშნავად მოძრაობს, შესანიშნავად აცვია... ანუ შესანიშნავად ქმნის თამაზ ენგურის — „ჩაკლული სულის" უაღრესად დრამატულ სახეს.

მაინც ვინაა თამაზ ენგურის სულთამხუთავი, ანუ ტოტალიტარული რეჟიმის წარმმართველი საქართველოში? გრიგოლ რობაქიძე მთელი სიმკვეთრით წარმოგვიჩენს იმდროინდელი დიქტატორის ნამდვილ სახესა და არსს. მწერალი დიქტატორის ფსიქოპათოლოგიურ ნიშნებს დიქტატორისავე გენეტიკაში ეძებს და პათოლოგიის უმთავრეს ნიშნად დიქტატორის „არასრულყოფილების კომპლექსს", სულიერ იმპოტენციასა და დაუკმაყოფილებელ პატივმოყვარეობას მიიჩნევს. აქედანვე მომდინარეობს ანგარიშმიუცემელი სურვილიც შურისძიებისა, რაც მსახიობ ზურაბ ყიფშიძის მიერ შექმნილ არტურ ბერზინის სახეშია უნაკლოდ გამოხატული. ძალაუფლება უპირველეს ყოვლისა! აი, რა არის უშიშროების კომიტეტის თბილისელი შეფის დევიზი. თუმცა, ბერზინი ამ დევიზს ბოლომდე ვერ ახორციელებს, რადგან მის არსებაში თანდათან თავს იჩენს გაორების ნიშნები, რაც ცხოვრებასთან თუ გარკვეულ ადამიანებთან დისჰარმონიული დამოკიდებულებით არის გამოწვეული. არტურ ბერზინის შინაგანი გაორების უმთავრეს მიზეზად, გარდა იმ დიდი ადამიანური სიმართლისა, რასაც თამაზ ენგურის განწირულ სულთან მიახლოება აგრძნობინებს ბერზინს, ენგურის მეგობარი ქალის — ნატო წერეთლისადმი აღძრული მისი ღრმა სიმპატიაც უნდა ჩაითვალოს. ნატო წერეთლის როლის შემსრულებელი ნიჭიერი მსახიობი ლიკა ქავჟარაძე უდაოდ დიდ მადლობას იმსახურებს ქართველი არისტოკრატი ქალის ზნეობრივად ამაღლებული და ადამიანურად მართალი ეკრანული სახის შექმნისათვის.

ფილმში, შეიძლება წამით, მაგრამ იმდენად მძაფრად და შთამბეჭდავად გაიელვებს პოლიტიკური პატიმრის დედის სათნოებით აღსავსე ხატება, რომ საბოლოოდ აცამტვერებს დიქტატორის თვითდაჯერებას. პატიმრის დედასთან შეხვედრის შემდეგ ტოტალიტარული რეჟიმის მესვეურებისთვის, უფრო სწორად მათი ერთგული ცერბერებისთვის აშკარა ხდება არტურ ბერზინის გაორების ნიშნები, რის გამოც უშიშროების კომიტეტის შეფი თვით ხდება ტერორის მსხვერპლი. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან „იგრძნობს" თუ არა დიქტატურა რაიმე ხიფათის მოახლოებას, მით უმეტეს თუ ეს ხიფათი მისთვის საბედისწეროც შეიძლება გამოდგეს, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით მიმართავს უსასტიკეს საშუალებას — ტერორს. ასე იყო ყოველთვის და ასეა დღესაც!

დიახ, უნაკლოა ზეინაბ ბოცვაძის მიერ შექმნილი მწუხარებით აღსავსე დედის სახე. ვაი რომ, ზეინაბი ნაადრევად წავიდა ჩვენგან და ამ, მოცულობით მცირე, მაგრამ მრავლის მეტყველი როლისათვის მადლობას სიკვდილის შემდეგ ვეუბნებით.

დიდი მადლობის ღირსნი არიან დანარჩენი მსახიობებიც — ნუგზარ ყურაშვილი, გოგი მარგველაშვილი და სხვები.

მსურს მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო ფილმის მუსიკალურ მხარეს, თუნდაც იმ მოტივით, რომ მუსიკა შექმნა არა პროფესიონალმა კომპოზიტორმა, არამედ გეოლოგმა მურაზ მუჯირმა! მის ნათელ, ელეგიურ მელოდიას, რომელიც მთელი ფილმის მანძილზე ჟღერს, ანტითეზური მნიშვნელობაც აქვს. იგი ანტითეზაა სივრცის იმ დახშულობისა, რაშიც მოქცეულნი არიან ნაწარმოების გმირები.

დიდ მადლობას მოვახსენებ არა მარტო მსახიობებსა და კომპოზიტორს, რომელთაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ფაქტიურად უსასყიდლოდ ილვაწეს, არამედ მთელს დამდგმელ ჯგუფს—რეჟისორსა და სცენარის ავტორს გუგული მგელაძეს, ცნობილ სცენარისტს რეზო კვესელავას, დამდგმელ ოპერატორს გენო ჩირაძეს, შესანიშნავ მხატვარს გიგო გიგაურს, მემონტაჟეს გულიკო ომაძეს და ადმინისტრატიული ჯგუფის ხელმძღვანელს ავთანდილ გენძეხაძეს.

დასასრულ, საზოგადოების საყურადღებოდ მინდა განვაცხადო, რომ კინოსურათის შემდგომი ბედი, რაც ფილმის რეალიზაციისთვის საჭირო ასლების დაბეჭდვასთან, ფილმის სხვა ენაზე გახმოვანებასთან თუ სუბტიტრების შექმნასთან არის დაკავშირებული, გარკვეულ სახსრებს მოითხოვს. ასეთი სახსრები ფილმის შემქმნელებს არ გააჩნიათ. ამიტომ სასურველი იქნება გავუწოდოთ მათ დახმარების ხელი!

**ანზორ სალუქვაძე,**

**პოეტი, კინოდრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიების ლაურეატი.**

• • •

**სურათებზე:** კადრი ფილმიდან „ჩაკლული სული"; დამდგმელი რეჟისორი გუგული მგელაძე ბახას როლში.

# იგორ ნაგორნი, ნაგორნის შვილი



**კინოოპერატორი** იგორ ნაგორნი ღვაწლმოსილი კაცია, კარგა ხანია მოღვაწეობს საქართველოს ტელევიზიაში. ავტორია მრავალი დოკუმენტური ფილმის, ტელეგადაცემის, ტელეჟურნალის, ტელერეპორტაჟისა.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მსოფლიო კინოს 100 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრა კინოოპერატორ იგორ ნაგორნისთან. თავის დროზე აქ მოვიდა ცოდნის შესაძენად იგორ ნაგორნი. კინოკამერის სიყვარული ოჯახიდანაც მოსდგამდა — მამამისი ნიკოლოზ ნაგორნი, ქართული დოკუმენტალური კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ამ სიყვარულმა, ნიჭმა და ოსტატობამ შეაძლებინა მას ჩვენს თვალწინ, ასე ცოცხლად და მიმზიდველად გადაეშალა მიხეილ მამულაშვილის არაჩვეულებრივი ბაღი, მისი ხელოვნება (სცენარის ავტორია ივლიტა მესხიშვილი) და სხვა.

ფილმი ისეთ მაღალ დონეზეა შესრულებული, რომ მაყურებელი შინაგანად გრძნობს ბუნების სურნელებას. თითქოსდა, ჩვენც ვიყოთ იმ წალკოტში და ვეხებოდეთ ლამაზ ყვავილებს, მამულაშვილის მიერ შექმნილ სილამაზეს. ეს ფილმი უბრალოა და მიმზიდველი.

მშვენიერი ფილმების შემქმნელს მიუძღვნა საღამო „პიონერფილმმა" და მისმა ხელმძღვანელმა, კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ გრიგოლ ჩიგოგიძემ.

ზეიმზე მოსწავლეთა სასახლის პედაგოგმა თამარ ჯიქიძემ გაიხსენა იგორის ბავშვობა. მის შესახებ ისაუბრეს ტელევიზიის მთავარმა ოპერატორმა ვალერი ლომინაშვილმა, ჟურნალისტებმა ნუნუ გრძელიშვილმა, მერაბ ბერაძემ და ვარდენ კიტიამ.

იგორ ნაგორნის მიერ გადაღებულ ფილმთა კადრებში აღბეჭდილია გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები, რომელთა შორის არიან მხატვრები ლადო გუდიაშვილი, უჩა ჯაფარიძე, მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი, გიორგი ტოვსტონოგოვი, ევგენი ლებედევი და სხვანი.

იგორ ნაგორნს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის და რუსეთის სხვა ქალაქების თეატრების სცენაზე ქართული დრამატურგიის პროპაგანდაში.

საღამოს უძღვებოდნენ სტუდიის წევრები ხათუნა გიგინეიშვილი და ქეთინო ბარჯაძე. შემდეგ სტუდიის წევრებმა შეკრებილთ თავიანთი ფილმებიც უჩვენეს.

დასასრულ საპატიო სტუმარმა „პიონერფილმს" სამახსოვროდ გადასცა საკუთარი კინოაპარატი, რომლითაც იგი ოცდახუთი წელი ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას. ეს გერმანული კინოაპარატი დაუტოვა ნორჩ მიმდევრებს, რომლებიც ფილმის შემქმნელები გახდებიან.

**იზა ჯაჭვაძე.**

• • •

**ხურათზე:** კინოოპერატორი იგორ ნაგორნი.

## ანა მათნაძე პირველია

**ხაფრანგეთში** გაიმართა ევროპის ჩემპიონატი 10, 12, 14 წლის მოჭადრაკე ჭაბუკთა და გოგონათა შორის; ჩვენი ქვეყნიდან წარმატებას მიაღწია თელაველმა ანა მათნაძემ (მწვრთნელი თამარ ხმიადაშვილი). მან ოქროს მედალი მოიპოვა 12 წლის გოგონათა შორის.

## თავისუფალი ჭიდაობა

**ამ დღეებში** გერმანია მასპინძლობდა იუნიორთა ევროპის ჩემპიონატს თავისუფალ ჭიდაობაში. აქ ოქროს მედალს დაეუფლა თედო კულუმბეგაშვილი (კასპი), რომელიც ასპარეზობდა 74 კგ წონით კატეგორიაში. ვერცხლის მედალი წილად ხვდა გორელ ოთარ თუშიშვილს.

• • •

**არც ირანში** ჩატარებულ ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატს, არ ჩაუვლია ქართველებისათვის უმედლოდ. აქ ვერცხლის მედალს დაეუფლა ემზარ ბედინეიშვილი (თბილისი), ხოლო ბრინჯაოს — გოჩა ჩიხრაძე.

ჩოგანი

## დაძაბული შემოდგომა

### მოგველის

**გაირკვა** კალათბურთელ ვაჟთა 1997 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ჯგუფის I წრის კალენდარი. როგორც მოგეხსენებათ, ამ ჯგუფში საბერძნეთის, ისრაელის, სლოვაკეთის, ბელორუსიის, ბოსნიის ნაკრებებთან ერთად ასპარეზობს საქართველოს ნაკრებიც. გაგაცნობთ ჩვენი გუნდის თამაშების განრიგს:

1995 წლის 8 ოქტომბერი: **სლოვაკეთი-საქართველო,** 11 ოქტომბერი: **საქართველო-ბოსნია,** 12 ნოემბერი: **ბელორუსია-საქართველო,** 15 ნოემბერი: **საქართველო-ისრაელი,** 1996 წლის თებერვალი: **საბერძნეთი-საქართველო.**


unicef — UNITED NATIONS CHILDREN'S FUND — გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდი — GEORGIA OFFICE — ოფისი საქართველოში

380060 თბილისი, ყაზბეგის გამზ. 2ა, Tel: (8832) 232388

2a Kazbegi Ave., 380060 Tbilisi, Tel: (8832) 232388, Int. Tel/Fax: 49-5151-13059 ext. 183, 49-5151-13086 ext. 183

RE-ADVERTISEMENT

VACANCY ANNOUNCEMENT
No. 95/01

POST TITLE: PROJECT OFFICER - HEALTH
POST LEVEL: NO - C
DUTY STATION: TBILISI PAT No.: 94570

PURPOSE OF THE POST:

Under the guidance and supervision of the Resident Project Officer (RPO), assist in the planning, implementation, monitoring and evaluation of UNICEF's programme of cooperation in the health sector, which focuses on support to the public health reform process, decentralisation, immunisation and disease control, essential drugs policy and supply assistance, especially to vulnerable groups and isolated communities.

MINIMUM REQUIREMENTS:

Georgian nationality. A post-graduate qualification in public health and/or public health planning. At least three years relevant experience in health service delivery in the public, private or voluntary sector. Excellent communication skills, including fluency in Russian and English. Computer skills. Some experience of work with a humanitarian assistance organisation, the United Nations and/or a donor organisation would be an advantage.

APPLICATIONS:

A full Job Description and UN Personal History Form can be obtained from the UNICEF - Tbilisi office at the address given below. Interested candidates are kindly requested to submit a Letter of Application addressed to the Resident Project Officer, in English, and an up-to-date UN Personal History Form. This is a readvertisement. Previous applicants need NOT RE-APPLY, as these applications are still under consideration. The closing date for the receipt of new applications is Friday, 11th August, 1995:

UNICEF IS A SMOKE FREE ENVIRONMENT

UNICEF - Tbilisi, 2a Kasbegi Avenue, 3rd Floor, 380060 Tbilisi. Tel.: 23 23 88



რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საწარმოო სამშენებლო სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენი" ლიკვიდირებულია.

ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ პრეტენზიები წამოაყენონ ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან სალიკვიდაციო კომისიაში მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზირი № 50. ტელ: 22-30-40, 23-11-75.

სალიკვიდაციო კომისია.



სასწრაფოდ იყიდება

ოროთახიანი კარგად გარემონტებული ბინა, პლიუს ლოჯი 17 კვ. კოსტავას ქ. № 72, IV სადარბაზო, IV სართული სარდაფით და მანქანის დასაყენებელი ადგილით. ტელ.: 37-09-14; 36-00-86.


დედა ანა, მეუღლე ზურაბი, შვილები ინგა, ზაზა, შვილიშვილები ზურაბი და ზურაბი, ძმა ავთანდილი, რძლები ლილი, ნატაშა, ლიანა, მულები თინა, ეთერი, სიძეები რეზო გორდელაძე, ჯონდო კახნიაშვილი, ძმისწულები, მულიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვენერა იასონის ასული ნიკოლეიშვილი-იჩქიტიძე**

პანაშვიდი 18, 19 VII, 4 საათზე; დაკრძალვა 20 VII, 8 საათზე. მისამართი: თბილისი, ორთაჭალის, 77 (I სადარბაზო).


შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოება „მოზარდის"

იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის

იურიდიული ფაკულტეტის დღისა და საღამოს განყოფილებებზე

სპეციალობით სამართალმცოდნეობა

სავალდებულო იურიდიული დისციპლინების გარდა, დღის განყოფილების სტუდენტები თანამედროვე ამერიკული მეთოდებით დამუშავებული ტრენინგების მეშვეობით შეისწავლიან: ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიას, გრალდებულის ფსიქოლოგიას, დამნაშავის ფსიქოლოგიას, არასრულწლოვანი დამნაშავის ფსიქოლოგიას, მოწმის ფსიქოლოგიასა და სხვა, ასევე მთლიანობაში ისწავლება ზოგადი და სასამართლო ფსიქოლოგია.

ინსტიტუტს გააჩნია კრიმინალისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.

სწავლება ფასიანია. საბუთები მიიღება 5 აგვისტომდე ყოველდღე 10 საათიდან 14 საათამდე, გარდა კვირისა.

გამოცდები ჩატარდება ტესტებით შემდეგ საგნებში: 1) ქართული ენა და ლიტერატურა; 2) საქართველოს ისტორია.

უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ!

საღამოს განყოფილებაზე ლექციები ტარდება შაბათსა და კვირას დღის საათებში. სწავლის ხანგრძლივობაა 5 წელი.

ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 086); ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; ოთხი ფოტოსურათი (3X4-ზე).

ინსტიტუტის მისამართია: ქ. თბილისი, ტოვსტონოგოვის ქუჩა 2, (უნივერსამ დავით აღმაშენებლის 119/1-თან) ტელეფონი: 95-28-64



საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თბილისის ინდუსტრიული კოლეჯი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1995/96 ს/წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

I. დღის სწავლების განყოფილება

ბიოლოგიური წარმოება

სპეციალიზაცია:
ა) ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება — (9 კლ. ბაზა);
ბ) სპირტისა და ლიქიორ-არყის წარმოება — (11 კლ. ბაზა);
პურისცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო წარმოება — (9 და 11 კლ. ბაზა);
გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე — (9 და 11 კლ. ბაზა);
ავტომობილებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება — (9 კლ. ბაზა).

II. დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

ბიოქიმიური წარმოება

სპეციალიზაცია:
ა) სპირტისა და ლიქიორ-არყის წარმოება — (11 კლ. ბაზა);
ბ) ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება — (11 კლ. ბაზა);
გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე — (11 კლ. ბაზა);
პურისცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო წარმოება — (11 კლ. ბაზა);
ავტომობილებისა და ძრავების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება — (11 კლ. ბაზა);

კოლეჯი სახელმწიფო დაწესებულებაა და სწავლება სახელმწიფო ხარჯზე მიმდინარეობს.

კოლეჯში აგრეთვე ფუნქციონირებს ფასიანი სწავლების განყოფილება. ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სპეციალობაზე 9 და 11 კლასის ბაზაზე, სადაც მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება გასაუბრების წესით. ფასიან სწავლებაზე ჩარიცხულნი გადაიხდიან სწავლების ყოველწლიურ საფასურს, რომელსაც განსაზღვრავს კოლეჯის ადმინისტრაცია.

კოლეჯში ყველა სპეციალობაზე მიმდინარეობს ამაღლებული დონის სპეციალისტების მომზადება კოლეჯის პროგრამით, რომლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ მათ ენიჭებათ უმცროსი ინჟინრის კვალიფიკაცია. სურვილის შემთხვევაში კოლეჯის წარმატებით კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ სწავლა გააგრძელონ უმაღლეს სასწავლებელში შესაბამისი ან მონათესავე სპეციალობით II ან III კურსზე, სადაც ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგად.

საბუთები მიიღება 15 აგვისტომდე ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 15-დან 20 აგვისტომდე.

იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებზე მომზადების დაბალ დონეს გამოამჟღავნებენ, შესაძლებელია საბუთების მიღება გაგრძელდეს შემდგომ ეტაპზე 15-დან 30 სექტემბრამდე.

კოლეჯში შემომსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი), 6 ფოტოსურათი (3X4), ჯანმრთელობის ცნობა (ფ. 086 უ), შემომსვლელი პასპორტს (დაბადების მოწმობას) და სამხედრო დოკუმენტს წარმოადგენს პირადად.

კოლეჯში შემომსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

I. არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული — (9 კლ. ბაზა):
1. მათემატიკა — ზეპირი.
2. ქართული ენა (წერა) — წაკითხული ტექსტის შინაარსი.
II. საშუალოსკოლადამთავრებულნი — (11 კლ. ბაზა).
1. ქიმია (ზეპირი) — „ბიოქიმიური წარმოების", „პურისცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო წარმოების" სპეციალობაზე.
2. მათემატიკა (ზეპირი) — ყველა დანარჩენ სპეციალობაზე.
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა-თხზულება) — ყველა სპეციალობაზე.

თქვენთვის საინტერესო დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონებზე: 62-34-63; 62-63-06; 62-25-78, 62-35-10, ან მობრძანდეთ კოლეჯის მიმღებ კომისიაში ყოველდღე 10-დან — 16 საათამდე (გარდა კვირისა).

მისამართი: თემქის დასახლება, მე-11 მიკრორაიონი, მე-3 კვარტალი, თბილისის ინდუსტრიული კოლეჯი.

ტრანსპორტი: მეტროს სადგური „გურამიშვილი", ავტობუსები: 108, 10, 3, 40; ტრამვაი 3, 4.

კოლეჯის მიმღები კომისია.



თბილისის საერო ინსტიტუტი

„ქაბადონი"

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1995-96 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;

ფინანსები და კრედიტი;

სამართალმცოდნეობა;

ჟურნალისტიკა;

, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და ხალხური რეწვა.

განცხადებები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა 10-დან 18 საათამდე.

მისამართი: ცოტნე დადიანის ქუჩა, 134.

(მეტრო ნაძალადევთან, პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა).

ტელეფონი: 66-79-87.


ხსოვნა

## ელგუჯა გელაშვილი

გარდაიცვალა ხაშურის რაიონის დაბა სურამის საკრებულოს გამგებელი ელგუჯა გრიგოლის ძე გელაშვილი.

ელგუჯა გელაშვილი 1931 წლის 15 სექტემბერს დაიბადა ხარაგაულის რაიონის სოფელ ნადაბურში.

დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა ხაშურის რაიონის სოფელ ოძირის რვაწლიანი სკოლის პედაგოგად, სურამის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგედ, იყო პარტიის ხაშურის რაიკომის მდივანი, ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქტორი, სურამის ალმასკომის თავმჯდომარე. შემდეგ გარდაცვალებამდე სურამის საკრებულოს გამგებელი იყო.

ყველგან, სადაც კი უმუშავნია, ელგუჯა გელაშვილმა პატიოსანი, ალალმართალი, საქმის ერთგული და უღალატო ქართველი კაცის სახელი დატოვა.

მისი სახელი მარად დარჩება მეგობრების, ახლობლების, ნათესავების, სურამის მცხოვრებთა გულში.

**ახლობლები.**

შვილები ნინო, თემური, დები თინა, ეთერი, რძალი თამარ შარაშიძე, შვილიშვილები სოფიკო, მეია, ლია, მძახალი ლიანა თევდორაძე, სიძე პაპადი ჯინჭოლავა, ცოლისდა ციალა, ცოლისძმა გოგი ხოშოლავები, ქვისლი ვახტანგ კვარაცხელია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დიმიტრი ვალერიანეს ძე ნამიჩეიშვილი**

პანაშვიდი 18 და 19 VII 5 ს.
გამოსვენება 20 VII 4 ს. ინგურის ქ. № 1 (დოლიძის ქუჩიდან).

მორიგე რედაქტორი სპარტაკ ქოგუაშვილი

გამომცემელი - შპს „პრესა" რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 60484. მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი